პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

სამშაბათი, 12 მაისი 1936 წ. № 109 (4568)

დღეს ნომერში:

- მძიმე მრეწველობის სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების საკავშირო თათბირი.
- საბჭოთა ქალების საუცხოო თაოსნობა („პრავდის" მოწინავე).
- ვ. იმედაძე — მხატვრული ლიტერატურა მასებში (ფელეტონი).
- დეკრეტი აბისინიის ანექსიის შესახებ.
- 1.800 მშრომელი სომეხი ბრუნდება საფრანგეთიდან სომხეთში.
- იტალია არა სცნობს 1906 წლის ხელშეკრულებას.
- საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს ცნობა.
- საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს სხდომა.
- პარტიზანული ბრძოლები მანჯურიაში.

სოციალისტური კულტურისათვის მებრძოლთა ახალი რაზმი

გაიხსნა მძიმე მრეწველობის სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების საკავშირო თათბირი



თათბირის მისალმებანი

ამხანაგ სტალინს

უდიდესი მღელვარებით ვემზადებოდით ჩვენი ფოლადისებური ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელებთან, ჩვენს საბჭოთა მთავრობასთან პირველი შეხვედრისათვის, თქვენთან შეხვედრისათვის, ამხანაგო **სტალინ**. თქვენი სახელი, გიგანტურ გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორის სახელი მუდამ პირზე აკერია ჩვენი დიადი, საყვარელი და ძვირფასი სამშობლოს ყოველ პატიოსან მშრომელს. და განსაკუთრებული მადლობით ამბობს თქვენს სახელს კაცობრიობის ის ნახევარი, რომლის განთავისუფლებასაც თქვენ ამდენი ძალა, ამდენი ენერგია მოახმარეთ.

ჩვენ, იმ ქალთა რაზმი, რომლებიც ამჟამად აქტიურად ებმიან დიად მშენებლობაში, უფლებამოსილად ვგრძნობთ თავს გითხრათ, რომ გახარებული ვართ შემოქმედებითი მუშაობით, რომლის პირველი ყლორტები უკვე მოიწონა ჩვენმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა ორჯონიკიძემ.

ჩვენ თავს ვგრძნობთ სოციალიზმის მშენებელთა მძლავრ კოლექტივთან მჭიდროდ დაკავშირებულად. ჩვენი ქმრების, მძიმე მრეწველობის მეთაურთა მუშაობა და ინტერესები ჩვენი ინტერესებიც გახდა. ჩვენი გული ალსავსეა მხურვალე სურვილით — დავეხმაროთ ჩვენს ქმრებს, რათა კიდევ უფრო უკეთ იმუშაონ, გაშალონ სტახანოვური მოძრაობა, რომელიც ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში ახალ ხანას ქმნის.

ჩვენ გვახსოვს თქვენი სიტყვები ქალების შესახებ, რომლებიც ჩვენი ახალგაზრდობის — ჩვენი ქვეყნის მომავალის დედები, აღმზრდელები არიან. ჩვენ გვინდა თქვენს მითითებებთან შეფარდებით მივცეთ ჩვენს უსაყვარლეს სოციალისტურ სამშობლოს მტკიცე, ხხეულითა და სულით ჯანსაღი ახალგაზრდობა, რომელსაც უნარი ექნება გაადიდოს მისი ძლიერება და თავგანწირვით დაიცვას იგი ყოველგვარი მტრისაგან.

თქვენ უდიდესი მზრუნველობითა და სიყვარულით ეპყრობით დედასა და ბავშვს, და ახლა ჩვენ წელში გამართულნი ამაყად ვატარებთ საბჭოთა ბავშვების დედათა სახელწოდებას. მადლობას გწირავთ თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, იმისათვის, რომ ჩვენს სამშობლოში დედობა უკვე აღარ არის მძიმე ჯვარი, იმისათვის, რომ იგი უდიდესი სიხარული გახდა. როცა ჩვენს შვილებს ვუამბობთ ბოლშევიკური ბრძოლის ამბებს, რომლებიც ზღაპარივით მოისმის, ჩვენ ვუნერგავთ მათ თავისი სოციალისტური სამშობლოს მხურვალე სიყვარულს, ჩვენ ვასწავლით მათ, რომ თქვენი შესანიშნავი ცხოვრების მიხედვით თავიანთი დიდი სამშობლოს საიმედო და ღირსეული შვილები იყვნენ.

ჩვენმა მთვლემარე ძალებმა გაიღვიძეს და გამოცოცხლდნენ. ჩვენ ვგრძნობთ იმ დიდ შემოქმედებით ხიმხნევესა და სასიხარულო აღტაცებას, რომლებითაც მოცულია მთელი ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ძალები თვით მუშაობაში იზრდებიან. ჩვენს ცოდნას, ჩვენს ენერგიას ახლა იმას ვახმართ, რომ ქარხნებსა და ფაბრიკებში, რომლებშიაც ჩვენი ქმრები მუშაობენ, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, სადაც ჩვენი ახალგაზრდა თაობა იზრდება, ცხოვრება კიდევ უფრო საამური, კიდევ უფრო სასიხარულო, კიდევ უფრო კულტურული და უფრო ნაყოფიერი გახდეს.

ჩვენი მოძრაობა ჯერ კიდევ ახალია — ჩვენ ეხლა ვართ ჩაებმით მუშაობაში. მაგრამ ჩვენ გზას გვინათებს შრომის იმ გმირ ქალთა სახე, რომელთა შესახებაც მეპარხლეობის მინდვრების დაკვრელ კოლმეურნე-ქალთა მიღებაზე ლაპარაკობდით.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო და მშობლიურო ამხანაგო **სტალინ**, მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ იმას, რომ გავხდეთ ნამდვილი თანაშემწენი ჩვენი ქმრებისა — მძიმე მრეწველობის მეთაურებისა, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევს თქვენი თანამებრძოლი, ჩვენი ახალი მოძრაობის სულისჩამდგმელი ამხ. სერგო ორჯონიკიძე.

ჩვენ პირობას გაძლევთ, რომ არ დავზოგავთ ჩვენს ძალებს, რათა ვინოგრადოვას, დემჩენკოს, ანგელინას განთქმულ სახელებთან ერთად ჩვენი წრიდანაც წამოვაყენოთ შრომის გმირები, რომლებითაც ჩვენს სამშობლოს უფლება ექნება იამაყოს.

გაუმარჯოს სოციალისტურ გამარჯვებათა დიდ ბელადს და ორგანიზატორს, მშრომელ ქალთა დიდ მეგობარს, ამხანაგ **სტალინს**!

◆ ◆ ◆

ამხ. ვოროშილოვს

მძიმე მრეწველობის სამეურნეო და ინჟინერ - ტექნიკოს მუშაკთა ცოლების საკავშირო თათბირი მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ და თქვენი სახით სახელოვანსა და უძლეველ წითელ არმიას.

ჩვენს ქმრებთან ერთად ჩავებით მძიმე მრეწველობის განმტკიცების მუშაობაში და არცერთ წუთს არ ვივიწყებთ იმ საფრთხეს, რომელიც გვემუქრება ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მტრებისაგან. ჩვენს ბავშვებს ჩვენ ვზრდით სოციალისტური თავდაცვის საქმისადმი სიყვარულისა და თავდადების პრინციპების მიხედვით, ვამზადებთ მათ იმისათვის, რომ შესძლონ ჩვენი სამშობლოს მკერდით დაცვა ყოველგვარი თავდასხმისაგან.

გვინდა დაგარწმუნოთ თქვენ, ძვირფასო კლიმენტი ეფრემის-ძევ, რომ, თუ, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანობის პოლიტიკისა, რასაც გენიალურად ახორციელებს ჩვენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი, მტერი ჩვენზე თავდასხმას გაბედავს, ჩვენს ქმრებსა და ჩვენს შვილებთან ერთად დავიცავთ საბჭოთა მიწაწყლის თითოეულ მტკაველს, მსგავსად იმისა, როგორც ახლა ვმუშაობთ ჩვენს ქმრებთან ერთად, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ცხოვრება გავხადოთ ნათელი და სასიხარულო.

მხურვალე სალამი თქვენ, საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს, მხურვალე სალამი ჩვენი მშობლიური და უსაყვარლესი წითელი არმიის მამაცსა და უშიშარ მებრძოლებს.

კრემლის დიდ სასახლეში

10 მაისს კრემლის სასახლის დიდ დარბაზში უმაგალითო შეკრება იყო. უკრაინის მეტალურგიული გიგანტებიდან, დონბასის შახტებიდან, ურალის, ამიერ-კავკასიის, მოსკოვის, ლენინგრადის ქარხნებიდან, უდიდეს ახალმშენებლობებიდან, საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოვიდნენ კრემლში მძიმე ინდუსტრიის მეთაურთა ცოლები, უდიდესი კულტურული მნიშვნელობის დიდი, საინტერესო მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად. ელექტრონის უზარმაზარ ჭაღებს მოეფინა თბილი, საამური შუქი. და გაზაფხულის ახალ ფერებად მოკაზმულა კრემლის სასახლის დიდი დარბაზი. მის მაღალ თაღებქვეშ გაისმა წკრიალა სიმღერა და დაუცხრომელ წყაროდ ჩუხჩუხებდა მგზნებარე სიხალისე, დაუშრეტელი სიხარული...

მცირე ხნის წინათ ორიოდე წლის წინათ, მძიმე ინდუსტრიის არმიის მებრძოლმა სარდალმა სერგო ორჯონიკიძემ კრასნოურალსკის სპილენძის სადნობ ქარხანაში ნახა ქვესადგურის უფროსის ცოლის ამხ. სუროვცევას გაშენებული ყვავილნარი. სახალხო კომისრის ფხიზელ თვალს არ გამოეპარა ეს მცირედი საქმე, მიუთითა მასზე და აქედან დაიწყო შესანიშნავი მოძრაობა ფაბრიკების, ქარხნების, შახტებისა და ახალი მშენებლობების სამეურნეო მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების შორის. ათასობით ქალები ჩაებნენ ბრძოლაში იმისათვის, რომ შეეტანათ კულტურა წარმოებაში, კულტურა ყოფაცხოვრებაში. და ამ მოძრაობაში მონაწილეობა საპატიო და პასუხსაგები საქმე გახდა. კრემლში თავი მოიყარა ამ მოძრაობის 3 ათასზე მეტმა აქტივისტმა. დელეგატი ქალებით გაივსო უზარმაზარი დარბაზი, ლოჟები, აივანი. ყველგან ქალებია, დღეს მათი დღესასწაულია, მათ ეკუთვნით კრემლის სასახლის მაღალი ტრიბუნა.

დარბაზი მოუთმენლად მოელის სხდომის დაწყებას. დროგამოშვებით დარბაზში გრიალებს ტაში. აი შემოდის ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული კრუპსკაია, ყველანი ფეხზე დგებიან და მიესალმებიან მას მხურვალე ხანგრძლივი ტაშით.

18 საათსა და 30 წუთზე ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი, ეჟოვი, ხრუშჩოვი, დიმიტროვი, შვერნიკი, პიატაკოვი**. დარბაზში ელვის სისწრაფით იფეთქა შეუკავებელმა მქუხარე ოვაციამ. გაისმის „ვაშას" ძახილი. ოვაციები ფართოვდება და გუგუნებს, რიგებიდან რიგებში გადადის. სასიხარულო, ამაღელვებელი, დაუვიწყარი შეხვედრაა! დელეგატი ქალები გულითადად ხელს უკრავენ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. ტრიბუნაზე ყოველი მხრიდან იყრიან ყვავილების თაიგულებს და ზურმუხტოვანი მწვანეულობა თვალის მომჭრელად ხასხასებს — „იუპიტერთა" სხივებ ქვეშ. „გაუმარჯოს სტალინს! „გაუმარჯოს სერგო ორჯონიკიძეს!" — გაისმის ტაშის გრიალში.

ტრიბუნაზე ადის ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. მასთან არიან ევგენია ვესნიკი, მარიამ მანაენკოვა, შვეიცერი. მრეწველობის მეთაურთა ცოლების მოძრაობის ინიციატორები მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

შესავალ სიტყვას ამბობს ამხ. ორჯონიკიძე. იგი მკაფიო ფერადებით გვიხატავს სამეურნეო მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების იმ მოძრაობის წარმატებებს, რომელიც დიდად განვითარდა მთელს ჩვენს ქვეყანაში. სახალხო კომისარს სიტყვას აწყვეტინებენ ტაშით, მაგრამ, როცა იგი ლაპარაკობს ბრძენ ბელადზე, სოციალიზმის გიგანტურ გამარჯვებათა სულისჩამდგმელ — **სტალინზე**, ტაში ერთბაშად ახალ მძლავრ ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან და დიდი ბელადის, ბოლშევიკური პარტიისა და მუშურ-გლეხური მთავრობისადმი მხურვალე აღფრთოვანებული სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით გატაცებულნი მღერიან „ინტერნაციონალს". ქალთა სამათასიანი გუნდი მშობრად და წარმტაცად გუგუნებს საერთაშორისო პროლეტარიატის დიადი ჰიმნი გაისმის როგორც სოციალიზმის ქვეყნის გამარჯვებათა სიმფონია, იმ ქვეყნისა, სადაც თავისუფალი ქალი დიადი მშენებლობის თანასწორუფლებიანი მონაწილეა, სადაც მასების შემოქმედებითი თვითმოქმედებისა და ინიციატივისათვის ყველა გზა ხსნილია.

ამხ. ორჯონიკიძე ტაშის გრიალში ამთავრებს თავის შესავალ სიტყვას და გახსნილად აცხადებს მძიმე მრეწველობის სამეურნეო მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების თათბირს, რომელიც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ არის მოწვეული.

ამხ. ორჯონიკიძე სიტყვას აძლევს ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების მოძრაობის ენერგიულ ინიციატორს ევგენია ემანუილის-ასულ ვესნიკს. ამხანაგი **სტალინი**, პრეზიდიუმი და თათბირის ყველა მონაწილე ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან ამ შესანიშნავ საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც კრივოიროგმშენზე საფუძველი ჩაუყარა მძიმე მრეწველობის მეთაურთა ცოლების ლაშქრობას კულტურული ყოფაცხოვრებისათვის, იმისათვის, რომ კონკრეტული დახმარება გაუწიონ ქმრებს მუშაობაში.

ამხ. ვესნიკი თავის სიტყვას იწყებს სასიხარულო, მხურვალე მისალმების სიტყვებით სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორისადმი, იმისადმი, ვისითაც მთელი კაცობრიობა ამაყობს,—დიდი, მშობლიური, საყვარელი სტალინისადმი. დარბაზში კვლავ გაისმის მქუხარე ოვაცია.

მან აგრეთვე მხურვალე სალამი გადასცა ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების მოძრაობის სულისჩამდგმელს, გულისხმიერ, მშობლიურ სახკომს ამხ. სერგო ორჯონიკიძეს. დარბაზში კვლავ გაისმის მქუხარე ტაში და მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ ორჯონიკიძის პატივსაცემად.

ერთი საათის განმავლობაში ამხ. ვესნიკი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მრავალფეროვანი და ნაყოფიერია ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და სტახანოველთა ცოლების, კრივოიროგმშენის აქტივისტ - ქალთა მუშაობა, რომლებიც იბრძვიან ქარხნის ყოფაცხოვრების ყველა კუნჭულში, ამსხვრევენ ყველა ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს ხელს რომ უშლიან სასიხარულო, კულტურული ყოფაცხოვრების შექმნას მშენებლობასა თუ ქარხანაში.

...რატომაა,—იძლევა კითხვას ამხ. ვესნიკი, — რომ აქტივისტ-ქალთა ჯგუფის თავდაპირველად მცირე საზოგადოებრივი მუშაობა ახლა დიდ მოძრაობად გადაიქცა? იმიტომ, რომ ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლებმა შეიგნეს, რომ ახლა შეუძლებელია სოციალიზმის ძლევამოსილი შემოქმედებისგან განზე დგომა, რომ შეუძლებელია ამ მსვლელობის გარედან მაყურებელი იყო. ყველას გვაერთიანებს ის, რომ ჩვენ გვზრდის საბჭოთა ხელისუფლება, რომ ქარხნებში ვხედავთ თავგამოდებული ბრძოლის ნიმუშებს. ჩვენ ყველას გვახსოვს ამხანაგ სტალინის მოწოდება ადამიანზე მზრუნველობისა შე. და ჩვენ უდიდესი ენტუზიაზმით მოვკიდეთ ხელი მუშაობას.

ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების მოძრაობას ბიძგი მისცა ამხ. ორჯონიკიძის ბრძანებამ იმის შესახებ, რომ სამეურნეო მუშაკები პასუხისმგებელი არიან საწარმოებში არსებულ ბავშვთა დაწესებულებებ-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

საბჭოთა ქალების საუცხოო თაოსნობა

„პრავდის" მოწინავე 11/V.

გუშინ კრემლის დიდ სასახლეში კვლავ გრიალებდა სიხარულის ოვაციები და მისალმების ქუხილი. ამხანაგ **სტალინის** შესახვედრად, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შესახვედრად აქ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსულან სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა ახალი და შესანიშნავი რაზმის წარმომადგენლები — მძიმე ინდუსტრიის სამეურნეო მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლები.

ჩვენს ცხოვრებაში ახლა უკვე ჩვეულებად იქცა, რომ კრემლის სასახლეში, რომელიც, ამხ. ორჯონიკიძის მოსწრებული თქმით, მთელი საბჭოთა ხალხის ნამდვილი სასახლე გახდა, თავს იყრის ყველა, ვისაც კი რამე სათქმელი აქვს საყვარელი ბელადისათვის, პარტიისა და მთავრობისათვის თავისი მიღწევებისა და გამარჯვებათა სიხარულის შესახებ. დღეს მისი დარბაზები აღსავსეა მოზეიმე და მხიარულ საბჭოთა ქალებს—სოციალიზმის მძიმე ინდუსტრიის მხნეულ ორგანიზატორთა, ნიჭიერ სამეურნეო მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლებს.

ეს ქალთა უბრალო მორიგი კრება როდია. საბჭოთა ქალების პოლიტიკურ გამოსვლებს, აქტიურ მუშაობას უკვე დიდიხანია შევეჩვიეთ. ოქტომბრის დიდი რევოლუციის პირველივე დღიდან ქალი ჩვენი ქვეყნის თანასწორუფლებიანი მოქალაქე და სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეა. მაგრამ დღეს კრემლში ჩამოსულან და მისი საყოველთაო-სახალხო ტრიბუნიდან გამოდიან იმ საბჭოთა ქალების რაზმის წარმომადგენლები, რომლებიც სულ მცირე ხნის წინათ მხოლოდ დიასახლისები იყვნენ და, მაშასადამე, ჩამოშორებული იყვნენ პოლიტიკას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. ჯერ კიდევ გუშინ მათი ჰორიზონტი და საზრუნავი იფარგლებოდა ოჯახში მუშაობით, ცალკეული საოჯახო მეურნეობის სამზარეულოში მუშაობით. ისინი სულ მცირე ხნის წინათ პასიური მაყურებელნი იყვნენ იმისა, თუ რა ხდებოდა იმ გრანდიოზულ სამშენებლო მოედანზე, რომელსაც სსრ კავშირი ეწოდება. ახლა მრავალი ათასი ცოლი—დიასახლისისა და აქტივისტ-ქალის თათბირი კრემლში გვიჩვენებს, რომ ახალი საბჭოთა ოჯახის დიასახლისები გახდნენ აქტიური საზოგადოებრივი ძალა, რომ მათი კარჩაკეტილობა და საზოგადოებრივ მუშაობას მოწყვეტილობა სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. სოციალისტური რევოლუციის გუთანი საუცხოოდ ხნავს! მან გადააბრუნა ახალი, დღემდე ხელუხლებელი ყამირი ქალთა მასებისა. პოლიტიკურმა მუშაობამ ჩვენს სასიხარულო შემოქმედებითს მუშაობაში, მოასწავებს სოციალიზმის ერთერთ უდიდეს გამარჯვებას.

„საბჭოთა ხელისუფლება, — ამბობდა ვ. ი. **ლენინი**, — ისწრაფის, რათა ყველა მშრომელი, არა მარტო პარტიული, არამედ უპარტიოც, არა მარტო მამაკაცი, არამედ ქალიც მონაწილეობას იღებდეს ამ სამეურნეო მშენებლობაში". ამ მიზნის მიღწევა ლენინს მიაჩნდა იმის გარანტიად, რომ „სოციალისტური მშენებლობა რუსეთში ისე მტკიცე იქნება, რომ ვერავითარი გარეშე მტრები სხვა ქვეყნებში და რუსეთის შიგნით საბჭოთა რესპუბლიკისათვის საშიში ვერ იქნებიან".

ჩვენ ახლა მივაღწიეთ ასეთ მდგომარეობას. მილიონობით საბჭოთა ქალები ქალაქად და სოფლად სასწავლებს ახდენენ მამაკაცებთან ერთად. თითქმის 8 მილიონი ქალი ეწევა საწარმოო შრომას ჩვენს სოციალისტურ მეურნეობაში. 1000 საბჭოთა გმირი ქალი თავის მკერდზე ატარებს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ჯილდოს — საბჭოთა კავშირის ორდენს, კიდევ რა საბუთია საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ **ლენინის** წინასწარმეტყველება უდიდესი სიზუსტით ახდა!

სოციალიზმის აღმავალმა ძალამ ახლა შემოქმედებითს მუშაობაში ჩააბა უზარმაზარი ფენები საბჭოთა ხალხისა, რომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და გამოცდილი მეურნის ხელი უკვე დიდიხანია თავის გამოყენებასა და სამოქმედო სარბიელს ეძებდა. გამოსავალი გვიჩვენა ამხანაგ **სტალინის** შესანიშნავმა და უნაყოფიერესმა ლოზუნგმა: „ადამიანები მზრუნველობითა და ყურადღებით უნდა გამოვზარდოთ, ისე როგორც მებაღე ზრდის საყვარელ ხეხილს". მზრუნველობა ადამიანებზე — ჩვენი სოციალისტური ცხოვრების შესანიშნავ და საუცხოო მშენებლებზე — აი რა შეადგენს ამ ახალი და შესანიშნავი მოძრაობის ძირითად ბირთვსა და დიად სასიცოცხლო აზრს.

და როცა თათბირის დარბაზში გამოჩნდა ჩვენი აყვავებული ქვეყნის დიადი მებაღე, როცა მას სიხარულის მისალმებათა გრიალითა და თათბირის მონაწილეთა მიერ საკუთარ სათბურებში გამოზრდილი უამრავი ხასხასა წითელი ვარდებით ეგებებოდნენ, — ყველას ვინც დარბაზში იყო, შეეძლო რეალურად ეგრძნო, თუ რა სიყვარული მიუძღვნეს ამ ადამიანებმა ჩვენს ბელადს. ყოველ სიტყვაში გაისმოდა მისდამი უსაზღვრო ერთგულების კილო. და მისი სახელის ყოველი ხსენება აღტაცებას იწვევდა ამ დაელექტრიზებულ დარბაზში.

თათბირის ტრიბუნიდან წარმოთქმულმა პირველმავე სიტყვამ ნათლად და დამაჯერებლად დაგვანახვა რომ არ არის ქარხანაში, ფაბრიკაში, მაღაროში ისეთი საწარმო და საოჯახო ყოფაცხოვრების ისეთი უბანი, სადაც არ იყოს სამეურნეო მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების მზრუნველი ხელისა და პრაქტიკული გამოცდილების საჭიროება. საბავშვო ბაგები, აბანოები და მაღაზიები, სავადმყოფოები და წითელი კუთხეები, სკოლები და კლუბები, სასადილოები და საერთო-საცხოვრებლები, ამბულატორიები, მეურნეობის ფერმები, მუშათა ბინების განყოფილებანი და ქარხნის ტერიტორია—ყველგან დიდი ხნის სანატრელი სტუმრები აღმოჩნდნენ ახალი მოძრაობის მონაწილე ქალები. დიასახლისის მზრუნველ და გამოცდილ ხელს ყველგან უძლიერესი სიხარულით შეხვდნენ, იგი ყველგან ახდენს ისეთ სასწაულებრივ საქმეებს, რომლებიც ამშვენებენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას.

პატარამ და დიდმა, მოხუცმა და ახალგაზრდამ — ყველამ იგრძნო, რომ ქარხნის ცხოვრებაში შეიჭრა ახალი ძალა და ცოცხალი ნაკადი, რომელიც აკეთილშობილებს ყოფაცხოვრებას, ამაღლებს მასების კულტურას და ამ აქტიური მუშაობის პროცესში სწრაფად იზრდებიან თვითონ აქტივისტ-ქალები. მოკლე ხნის განმავლობაში მათგან მრავალი ათასი გახდა საუცხოო მოწინავე მუშაკად, რომლებითაც ჩვენს ქვეყანას სამართლიანად შეუძლია იამაყოს.

სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების აქტიურმა საზოგადოებრივმა მუშაობამ არათუ არ დაარღვია ოჯახური ცხოვრება, როგორც ამისა ეშინოდა ჭკუამოკლეობის ზოგიერთ გმირს. შესანიშნავ სიმართლედ გაისმა თათბირის მონაწილე ორატორ ქალთა პირველივე განცხადებანი — აქტიურ კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმით ჩვენი ოჯახი უფრო მტკიცედ ვიგრძენით და შევიყვარეთ.

კრემლის თათბირის ტრიბუნიდან გვესმოდა ჩვენი საბჭოთა ყოფაცხოვრების მკაფიო ფურცლები. ჩვენი ქვეყანა ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმ უბრალო და შესანიშნავი საბჭოთა ქალების უბრალო და მკაფიო ნაამბობს, რომლებმაც თავისი საუცხოო მუშაობით მიაღწიეს დიდ სიხარულს — ითათბირონ კრემლში ხალხის ბელადთან— ამხანაგ სტალინთან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან.

მოსკოვი

1936 წლის 10 მაისს კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო მძიმე მრეწველობის სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების საკავშირო თათბირი. თათბირში მონაწილეობს 3 ათასზე მეტი დელეგატი ქალი და სტუმარი, რომლებიც ჩამოსული არიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, მძიმე მრეწველობის ყველა დარგიდან.

უდიდესი ენტუზიაზმით, მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან თათბირის მონაწილეები ამხ. **სტალინის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის, კალინინის, მიქოიანის, ანდრეევის, ჩუბარის, ეჟოვის, დიმიტროვის, ხრუშჩოვის, შვერნიკის, და პიატაკოვის გამოჩენას ტრიბუნაზე.**

მთელი დარბაზი ზეზემდგომი მიესალმება პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. დარბაზს ტაში აზანზარებს, მისი ყოველი კუთხიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისა** და მის თანამებრძოლთა პატივსაცემად. ყველა დამსწრის თვალი მიპყრობილი აქვს ამხანაგ **სტალინზე**, რომელიც დიდხანს უკრავს ტაშს თათბირის მონაწილეთ. დარბაზის ერთი კუთხიდან მეორემდე კვლავ და კვლავ გაისმის მისასალმებელი შეძახილები და „ვაშა", დიდი ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის პატივსაცემად. დელეგატმა ქალებმა ტრიბუნა ცოცხალი ყვავილების თაიგულებში გახვიეს.

თათბირი გახსნა ამხანაგმა **ორჯონიკიძემ**, რომელსაც მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვის შემდეგ გამოვიდნენ ამხ. ე. ე. ვესნიკი (კრივოი როგის მეტალურგიული ქარხანა), მ. ს. მანაენკოვა (დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ქარხანა პეტროვსკის სახელობისა), ს. ვ. კლინინა (ბაქოს ნავთობსადენი ქარხნები).

დიდი აღფრთოვანებით მიიღო თათბირმა მისალმება ამხ. **სტალინისა**, მოლოტოვისა, კალინინისა, ვოროშილოვისა, კაგანოვიჩისა და ორჯონიკიძის სახელზე.



მისალმება ამხ. ს. ორჯონიკიძეს

გულითადი მადლობა თქვენ, ძვირფასო და მშობლიურო ამხანაგო სერგო, თქვენი განსაცვიფრებელი გულისხმიერი მოპყრობისათვის ჩვენი ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად ზრდადი მოძრაობის, მძიმე მრეწველობის მეთაურთა ცოლების მოძრაობის მიმართ.

ჩვენს პირველ წყნარ, მოკრძალებულ ცდებში, რომ მონაწილეობა მიგვეღო გულმისავალი ცხოვრებისა და კულტურისათვის ბრძოლაში ყოფაცხოვრებასა და საწარმოში, — თქვენ შესძელით დაგენახათ ახალი ცხოვრების მშენებელთა ახალი რაზმის შექმნის პერსპექტივა. ის სათუთი და ყურადღებით სავსე მოპყრობა, რომელიც გამოიჩინეთ მწვანე სკვერის მზრუნველობით გაშენება სადმი კრასნოურალსკის სპილენძსადნობი ქარხნის ქვესადგურთან — შეიტყო მძიმე მრეწველობის ინჟინერთა და სამეურნეო მუშაკთა ასობით და ათასობით ცოლმა. მათ ძლიერი სურვილი აღეძრათ — მიებაძონ კრასნოურალსკის ქვესადგურის უფროსის ცოლის ამხ. სუროვცევას მაგალითს. თქვენმა სიტყვებმა, რომ „ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების მოძრაობა დიდი საქმეა" — სიხარულითა და ჩვენი ძალებისადმი რწმენით აგვავსო. თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სერგო, ჩვენი მოძრაობის მარტო შთამაგონებელი კი არა, მისი ინიციატორიცა ხართ.

ჩვენს თავს არ ვუმალავთ და არც თქვენ დაგიმალავთ, რომ მრავალი ჩვენგანი დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ პასიური მაყურებელი იყო სტალინური ხუთწლედების შესრულებისა.

ეს დრო წავიდა. ჩვენ ახლა მუშაობაში ჩავებით და მუშაობა არამც თუ გვიტაცებს და გვახარებს, არამედ ძალღონისა და უნარის ახალ წყაროს აჩენს ჩვენში, რასაც ჩვენ კაბინეტ იმას, რომ კიდევ უფრო ძლიერული, საამური და მყუდრო შევქმნათ ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში, რომელიც იზრდება და მდიდრდება. ჩვენ ვცდილობთ მხარდამხარ მივყვეთ ოქტომბრის რევოლუციის საუკეთესო ვაჟებსა და ქალიშვილებს — სტახანოველ ქალ-ვაჟთ და ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ. ჩვენ უდიდესი აღფრთოვანებით ვიწყებთ მონაწილეობას ბრძოლაში იმ ჩამორჩენილობა - დაუდევრობის გადმონაშთთა წინააღმდეგ, რომელსაც ვამჩნევთ ჩვენს ყოფაცხოვრებაში. ამ მუშაობაში ვიზრდებით თვით ჩვენ, იზრდება და მტკიცდება ჩვენი ძალღონე.

მხოლოდ ახლა, რამდენადაც უფრო სწრაფად ედება ჩვენი მოძრაობა მთელი ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალს, უფრო გარკვევით გვესმის იმ გრანდიოზული მუშაობის სიდიადე, რომელიც შეასრულა საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის მშობლიურმა პარტიამ მონობისგან ქალის სავსებით განსათავისუფლებლად.

საბჭოთა კავშირის ქალის ცხოვრებაში ულრმესი ცვლილებები მოხდა. ქალთა გმირული მუშაობის შესახებ უდიდესი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ჩვენი ბელადი და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ახლა როცა საბჭოთა ქვეყნის სკოლებში სწავლობს 28 მილიონი ბავშვი, საბავშვო ბაღებში და საბავშვო მოედნებში — 9 მილიონი ბავშვი, ხოლო ბაგებში ამჟამად ექვს მილიონნახევარი ბავშვია. სკოლებისა, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობა ახლა ისეთი ტემპებით დაიწყო, რომელიც უკან იტოვებს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის განსაკუთრებულ სწრაფ ტემპებსაც კი.

ჩვენი მუშაობა უკვე დაიწყო. მისი კვალი სჩანს ახალ საბავშვო ბაღებში, ბაგებში, ფიზკულტურის მოედნებში, თვითშემოქმედების სალამოებში, ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის, სიფაქიზისათვის, სისუფთავისა და კულტურისათვის შინ და სამუშაოზე. ჩვენგან, რა თქმა უნდა, შორს არის ყოველგვარი თავმოწონება. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ. მაგრამ ჩვენ გზას გვინათებს **ლენინ-სტალინის** დიადი მოძღვრება. ჩვენი გზისმაჩვენებელი ვარსკვლავი არიან ის შრომის გმირები ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, რომელთა სახელსაც მთელი ქვეყნიერება იცნობს. ჩვენთვის შთამაგონებელი მაგალითია თქვენი დაუცხრომელი და ალგზნებული მუშაობა, ძვირფასო ამხანაგო ორჯონიკიძე.

და ჩვენ **დარწმუნებით, რომ** როგორც თქვენი ნებისყოფით არის გაძლიერებული მუშაობა ბრძმედებსა და მარტენებზე, მაღაროებსა, შახტებსა და საამქროებში, სადაც შენდება თვითმფრინავები და ავტომობილები, მსგავსად ამისა ჩვენს ბრძოლაშიც ახალი, კიდევ უფრო ნათელი და მხიარული ცხოვრებისათვის ჩვენ გავყვებით თქვენს გამამხნევებელ მითითებებს, თქვენს შთამაგონებელ ცოცხალ მაგალითს.

სტახანოვური მოძრაობისათვის ბრძოლაში გულმისავალი ცხოვრებისა და კულტურისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის მშენებელთა ახალი ჯანსაღი ცვლისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდადებულ, მამაც მცველთა მომზადებისათვის ბრძოლაში ყოველმხრივ ვეცდებით, რომ ამხანაგმა **სტალინმა** შესძლოს სთქვას ჩვენზე — ინჟინერთა და სამეურნეო მუშაკთა ცოლები — ეს დიდი ძალაა.

კიდევ გულითადი მადლობა, თქვენ, ძვირფასო და საყვარელო ამხანაგო სერგო, გვერწმუნეთ, რომ არ დავზოგავთ ჩვენს ძალღონეს, რათა გავამართლოთ თქვენი ნდობა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე მრეწველობის სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების საკავშირო თათბირი

(გაგრძელება)

ზისათვის. განა ეს არ იყო პირდაპირი მოწოდება ჩვენდამი? ძალიან ბევრი იყო ჩვენში საყოფაცხოვრებო და ბავშვთა დაწესებულების პატრონი. ახლა კი მოვიდა ერთი პატრონი — დედა.

ადვილი საქმე არ იყო მოუვლელი, ჭუჭყიანი სასადილოების წესრიგში მოყვანა, სადაც უგემური სადილები მზადდებოდა. ამ სასადილოებს დოტაცია ეძლეოდათ, მაგრამ ისინი მაინც ზარალით მუშაობდნენ. კრივოიროგშენის ერთერთმა საუკეთესო აქტივისტმა-ქალმა ს. გ. მარიანოვსკაიამ, რომელიც ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რესტორანის გამგედ იყო დანიშნული, რამდენიმე თვის განმავლობაში შესძლო გადაექცია სასადილო სანიმუშოდ და ამ რამდენიმე თვის განმავლობაში სასადილომ უკვე იწყო მოგების მოცემა, მიუხედავად იმისა, რომ სადილების ფასები დაკლებული იყო. დამახასიათებელია ამხ. მარიანოვსკაიას მუშაობის მეთოდები. მაგალითად იგი მზესუმზირას ყიდულობდა კოლმეურნეობაში, შემდეგ მისგან ხდიდა ზეთს, რომელიც მას კილოგრამი 5 მანეთად და 90 კაპიკად უჯდებოდა ნაცვლად 22 მანეთისა სახელმწიფო ფასისა. (ამხანაგი სტალინი და მთელი თათბირი ტაშს უკრავს).

ამხ. ვესნიკი ლაპარაკობს იმაზე, რომ ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლები არ თაკილობდნენ „შავ" სამუშაოს, წესრიგში მოჰყავდათ მუშათა საერთო საცხოვრებლები, სპობდნენ ბალინჯოებს, სცვლიდნენ თეთრეულს, შემდეგ კი ჰფუძნდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას პოლიტწვრილების მშენებელთა შორის. სუფთა საერთო საცხოვრებელმა შექმნა ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ დაგვენერგა კულტურა ყოფაცხოვრებაში.

ამხ. ვესნიკი ასახელებს აქტივისტ ქალებს—გოროლოვას, კოპირსკაიას, მიტკოვსკაიას, გერასიმოვას, ორეტიაკოვას და სხვებს. მრავალფეროვანია ამ აქტივისტთა მოღვაწეობა. აქ „სასწრაფო დახმარებაც" ... წარმოებაში დაშავებულ მუშას ან მშობიარე ქალს, უნდა იმუშაო მხატვრული თვითმოქმედების წრეებშიც. ამხ. ვესნიკი აღნიშნავს, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები სუსტად ეხმარებიან ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლებს.

ამხ. ვესნიკი თავის სიტყვას ამთავრებს მისალმებებით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელთა პატივსაცემად, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას პატივსაცემად. ეს მისალმებანი დარბაზში მქუხარე ოვაციებს იწვევენ.

შემდეგ გამოდის ძერჟინსკის სახელობის ქარხნის დირექტორის ცოლი მარიამ სტეფანეს-ასული მანაენკოვა. იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მეთოდებით აბამდნენ მუშაობაში ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლებს. წინასწარ მათ აცნობებდნენ საამქროების მუშაობას, საუკეთესო სტახანოველთა მუშაობას, აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებს, ამის შემდეგ იქმნებოდა აქტივი. ინჟ.-ტექ. მუშაკთა 1500 ცოლიდან ამჟამად „ძერჟინკაზე" 574 აქტივისტ-ქალი მუშაობს.

შემდეგ ამხ. მანაენკოვა ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ეწეოდნენ ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლები ქარხნის გამწვანებას და როგორ შექმნეს მათ ორანჟერეა. მან პრეზიდიუმს გადასცა „ძერჟინკის" ორანჟერეაში მოყვანილი ყვავილებით სავსე რამდენიმე კალათა.

ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების კულტურულ მუშაობას თავის ნაყოფი მოაქვს: შემცირდა ხულიგნობა, ლოთობა. ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების ეს მუშაობა უდიდეს კმაყოფილებას ანიჭებს მათ.

ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლები ახლა ყურადღებით თვალყურს ადევნებენ ქარხნის საწარმოო პროგრამის შესრულებას, ვინაიდან ისინი თავიანთ თავს სთვლიან ქარხნის უდიდეს, მტკიცედ შედუღებული კოლექტივის განუყრელ ნაწილად.

ამხ. კლინინა (ბაქო) როგორც წინა ორატორებიც, მოუთხრობს თათბირის მონაწილეებს ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების მუშაობის პრაქტიკას ბაქოს ნავთსახდელ ქარხნებში. აქ განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ბავშვებზე ზრუნვას. ინჟ.-ტექ. მუშაკთა ცოლები ბევრ რამეში იჩენენ მიხვედრილობას, გულმოდგინებას, მოხერხებულობას, რათა ამაღლდეს მუშათა ბავშვების წარმატება სკოლებში, აარსებენ რეპეტიტორთა წრეებს, მართავენ კონფერენციებს ძნელ საგნებში, დახმარებას უწევენ ბავშვებს ტექნიკურ სადგურზე, სიყვარულით მეცადინეობენ სკოლამდელებთან, წესრიგში მოჰყავთ საბავშვო ბაღები. ისინი უყურადღებოდ არ სტოვებენ მუშათა საერთო საცხოვრებლებსა და სასადილოებს მართავენ წიგნებისა და გაზეთების კითხვას მუშებისათვის, ზრუნავენ უცოლშვილო მუშების ეკიპირებაზე, აარსებენ ათობით წრეებს და სხვ.

სიტყვა ეძლევა ამხ. სუროვცევას. მას წინადადება შემოაქვს მიღებულ იქნას მძიმე მრეწველობის სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების საკავშირო თათბირის სახელით მისალმება ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

ამ წინადადებას დელეგატები ენთუზიაზმით ეგებებიან. გრიალებს მქუხარე ოვაცია დიდი ბელადის პატივსაცემად, გაისმის „ვაშას" ძახილი. მისალმებას ტაშის გრიალით ღებულობენ. თათბირის მონაწილენი მღერიან „ინტერნაციონალს".

შემდეგ უდიდესი აღფრთოვანებით იღებენ მისალმებებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მოლოტოვისადმი, საკავშირო სტაროსტის ამხ. კალინინისადმი, თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. ვოროშილოვისადმი, გზათა მიმოსვლის სახალხო კომისრის ამხ. კაგანოვიჩისადმი, მძიმე მრეწველობის არმიის სარდლის ამხ. ორჯონიკიძისადმი.

○

11 მაისს დილის თერთმეტი საათიდან განაგრძობს მუშაობას მძიმე მრეწველობის სამეურნეო მუშაკთა და ინჟ.-ტექ. მუშაკთა ცოლების საკავშირო თათბირი.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა

ამხანაგებო! ორი-სამი წლის წინათ ჩვენი საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სხვადასხვა კუთხის საწარმოებში დაიწყო ინჟინერ-ტექნიკოსთა, დირექტორთა ცოლების მოძრაობა ჩვენი ქარხნების, მშენებლობათა, შახტების, სამადნოების, სარეწაოების მუშათა და მუშა ქალთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა კულტურული მომსახურების ორგანიზაციისათვის.

მათ, მრეწველობის მეთაურთა ცოლებმა, დაიწყეს მუშაობა იმისათვის, რომ დაემყარებინათ სისუფთავე და წესრიგი სასადილოებსა, კლუბებსა და ბავშვთა ბაგებში, საბავშვო სახლებსა და მუშათა საერთო საცხოვრებლებში. ისინი წერა-კითხვას ასწავლიან მუშათა ცოლებს, აძლევენ უცხო ენების გაკვეთილებს, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყველა საწარმოში სისუფთავისა და წესრიგისათვის ბრძოლაში.

ერთი სიტყვით, სოციალიზმის მშენებელთა, ჩვენი ქვეყნის ინჟინერთა და ტექნიკოსთა ცოლები, ჩვენი დიდი სამშობლოს ქალიშვილები, ჩვენი დები, თავიანთ ქმრებთან ერთად დგებიან სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებში.

ამხანაგებო, თვრამეტნახევარი წლის წინათ ჩვენი ქვეყნის მშრომელმა მასებმა, ყველა საუკუნეთა უდიდესი რევოლუციონერის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხელმძღვანელობით გადაიგდეს კაპიტალისტთა და მემამულეთა უღელი და ხელში აიღეს საბჭოთა ქვეყნის მთელი ცხოვრების მშენებლობა.

ამით ჩვენი ქვეყანა გახდა პოლიტიკურად ყველაზე კულტურული, ყველაზე მოწინავე მთელს მსოფლიოში, როგორც ეს არაერთხელ უთქვამს იმას, ვისაც რკინის ხელით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ლენინის გზით გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ — ამხანაგ სტალინს.

(ტაშის გრიალი, მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია, მხურვალე მისალმებები შეძახილები: „გაუმარჯოს ხალხთა ბელადს, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს! „ვაშა ამხანაგ სტალინს!" თეთრი დარბაზი მღერის „ინტერნაციონალს").

მაგრამ ყოფაცხოვრებაში კულტურა ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან და ძალიან გვაკლია. და აქ ჩვენი ამხანაგების, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკ-ქალების მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამ მოძრაობას, ამხანაგებო, მძიმე მრეწველობის მეთაურთა აქტივისტი ცოლების მოძრაობას, უკვე ჰყავს თავისი საუცხოო ხელმძღვანელები, რომლებიც დაუღალავი ენერგიითა და საქმის დიდი ცოდნით ატარებენ ცხოვრებაში ამხანაგ სტალინის მითითებებს ცოცხალი ადამიანისადმი ყურადღების შესახებ (ტაში). ამხანაგები ვესნიკი, მანაენკოვა, კლინინა, სუროვცევა — ახლა ეს სახელები ცნობილია ჩვენი ქვეყნის მრავალი ათასი, ათეული ათასი ადამიანისათვის (ტაში). ამ ამხანაგების მაგალითს ჰბაძავენ ასობით, ათასობით და მალე მიჰბაძავენ ათი და ასი ათასობით. ბევრი აქ ამხანაგთაგანი მარტო კულტურულ მუშაობას როდი სჯერდება. საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობა მათ თავიანთ ქმრებზე ნაკლებ როდი აწუხებთ.

მე ნებას მივცემ ჩემს თავს გამოვაქვეყნო ერთი ადგილი წერილიდან, რომელიც ახასიათებს ჩვენი მრეწველობის მეთაურთა ძალიან ბევრი ცოლის განწყობილებას. ერთერთ ჩვენს ქარხანაში, სადაც მუშაობა ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ საკმაოდ ცუდად მიდიოდა, დირექტორსა და მეთაურთა მთელ შემადგენლობას რიგიანად მოსცხეს პრესაშიც და პრესის გარეთაც. და აი ერთი ამხანაგის ცოლი შემდეგს იწერება:

„ქარხანა ჯერ კიდევ ვერ ასრულებს პარტიისა და მთავრობისათვის მიცემულ დაპირებას. მაგრამ ხელმძღვანელი მუშაკები ძალიან ბევრს მუშაობენ, მეტისმეტ ენერგიას ხარჯავენ, ზოგჯერ ორ დღე-ღამეს არ გამოდიან ქარხნიდან. მაგრამ მათ რაღაც ვერ გაიგეს ... ეს ხალხი არ არის ცუდი, მათ სურთ მუშაობა, ხოლო რაკი ადამიანებს მუშაობა სურთ, უნდა დავეხმაროთ, და საქმე დაიძვრება. ჩვენ, ცოლები, მხოლოდ-დამხოლოდ ქარხნის ცხოვრებით ვცხოვრობთ, ქარხნის კარგი მუშაობა — ჩვენი სიხარულია".

აი, ამხანაგებო, რასა სწერს საბჭოთა ინჟინრის ცოლი. ასეთი ცოლით, ასეთი თანაშემწით ყოველ სამეურნეო მუშაკს, ყოველ ინჟინერს, ყოველ ტექნიკოსს და მათთან ერთად მთელ ჩვენს ქვეყანასაც საამაყოდ შეუძლია იამაყოს. (ტაში)

ამ საუცხოო მოძრაობას წელს დიდი გაქანება მიეცა. ჩვენი ქვეყნის საერთო-სახალხო აღმავლობის სტახანოვურ წელს ჩვენი მეთაურების აქტივისტ-ცოლები ფართო ტალღად ერთვიან ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საერთო ბრძოლაში.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მოგესალმოთ და მტკიცე რწმენა გამოვთქვა, რომ თქვენ მიერ დაწყებულ საქმეს კიდევ უფრო მეტი ენერგიით და სიყვარულით განაგრძობთ კრემლის სასახლეში გამართული ჩვენი თათბირის შემდეგ, კრემლის, ამ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სასახლეში, იმ ქვეყნისა, რომელიც ლენინურ-სტალინური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი მშობლიური, დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს სოციალიზმს (მქუხარე ტაში, ხანგრძლივი ოვაცია, ყველა დელეგატი ფეხზე დგება, ისმის „ვაშას" ძახილი).

მძიმე მრეწველობის სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლების საკავშირო თათბირს, რომელიც მოწვეულია მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საკავშირო პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ, ახსნილად აცხადებენ (მქუხარე ტაში).

◇ ◇ ◇

1800 მშრომელი სომეხი ბრუნდება საფრანგეთიდან სომხეთში

დეპეშები ამხ. ვ. მ. მოლოტოვს და მ. ი. კალინინს

მოსკოვი, მოლოტოვს.

მოგემგზავრებით რა საფრანგეთიდან საბჭოთა სომხეთში, ღრმა მადლობას ვუცხადებთ სსრ კავშირის ხელმძღვანელებსა და მთავრობას სამშობლოში დაბრუნებისათვის ნებართვის მოცემისა და ამისათვის დახმარების გაწევის გამო.

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს!

1.800 მშრომელი სომხის სახელით, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან.

მოსკოვი, კალინინს.

იმ მომენტში, როდესაც ვტოვებთ საფრანგეთს და საბჭოთა სომხეთს მივემგზავრებით, ღრმა მადლობას ვუცხადებთ სსრ კავშირის მთავრობას ნებართვისა და იმ დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწიეთ სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გემ „სანაიაზე" მყოფი მშრომელი სომხები, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან.

მარსელი, გემი „სანაია"
1936 წლის 9 მაისი.

საფრანგეთიდან გამომგზავრებულ მშრომელ სომეხთა დეპეშა

ამხ. ბერიას, მუსაბეკოვს და მგალობლიშვილს

10 მაისს ამხ. ბერიას, მუსაბეკოვისა და მგალობლიშვილის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა 1.800 მშრომელი სომხისგან, რომლებიც საფრანგეთიდან ბრუნდებიან სამშობლოში — საბჭოთა სომხეთში.

„იმ მომენტში, როდესაც ვტოვებთ საფრანგეთს და საბჭოთა სომხეთს მივემგზავრებით, ღრმა მადლობას ვუცხადებთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელებს და ძმურ, საბჭოთა საქართველოს მთავრობას იმ დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწიეს სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმობას".

(დეპეშა გამოგზავნილია მარსელიდან, გემ „სანაიადან").

◇ ◇ ◇ ◇ ◇

კომკავშირის აქტივის კრებაზე

სიღნაღი, (ტელეფონით საკ. კორ.). 8 მაისს საღამოს შესდგა კომკავშირის აქტივის სარაიონო კრება. კრებაზე თავი მოიყარა 145 აქტივისტმა: კომკავშირის ორგანიზატორებმა, პროპაგანდისტებმა და კომიტეტების მდივნებმა.

დამუშავდა საკითხი ლენინური კომკავშირის X საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციის შესახებ.

მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა X ყრილობის დელეგატი, საქ. ა. ლ. კ. კ. სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. არჩილ-ბაშალაშვილი. კრებაზე დამუშავდა აგრეთვე ამხ. ანდრეევის მიერ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ლაზიაშვილმა, ნანობაშვილმა, კომკავშირელმა ინჟინერმა—სტახანოველმა მერლულიამ, მენთეშაშვილმა (მაჩხაანიდან) კოკილაშვილმა (ხირსის საბჭოთა მეურნეობიდან), ცოტაშვილმა, მიქელაძემ, ჭოჭუამ და სხვ.

დეკრეტი აბისინიის ანექსიის შესახებ

რომი, 10 მაისი. სტეფანის სააგენტო იუწყება: „დიდმა ფაშისტურმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ გუშინ მიიღეს და დღეს ხელმოსაწერად წარუდგინეს 2 დეკრეტი. პირველი დეკრეტი ადგენს, რომ აბისინიის იმპერიის ტერიტორიები და მოსახლეობა მთლიანად და სავსებით იტალიის სამეფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებიან. აბისინიის იმპერატორის ტიტული მიიღო იტალიის მეფემ თავისთვის და თავისი მემკვიდრეებისათვის. აბისინიის მართვა-გამგეობა და წარმომადგენლობა, იქნება გენერალ-გუბერნატორის ხელში; მას ექნება მეფის მოადგილის ტიტული და მასვე დაექვემდებარებიან ერიტრეისა და სომალის გუბერნატორები. აბისინიის გენერალ-გუბერნატორს (მეფის მოადგილეს) დაექვემდებარება ყველა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მის იურისდიქციას ექვემდებარება.

მეორე დეკრეტით მარშალი ბადოლიო ინიშნება აბისინიის გენერალ-გუბერნატორად, მეფის მოადგილის ტიტულით და სრული უფლებამოსილებით. (ადს)

იტალია არა სცნობს 1906 წლის ხელშეკრულებას

ლონდონი, 10 მაისი. „ტაიმსის" რომაელი კორესპონდენტის გადმოცემით, იტალია არა სცნობს, რომ ძალაში რჩება საფრანგეთისა, ინგლისისა და იტალიის შორის 1906 წელს დადებული ხელშეკრულება (აბისინიაში პოლიტიკური და ტერიტორიული სტატუს-ქვოს შენარჩუნების შესახებ). იტალია ფიქრობს, რომ ეს ხელშეკრულება შეცვალა ინგლის-იტალიის 1925 წლის დეკემბრის ოქმმა და რომის შეთანხმებამ, რომელსაც 1935 წლის იანვარში ხელი მოაწერეს ლავალმა და მუსოლინიმ.

(ინგლის-იტალიის 1925 წლის ოქმში ინგლისი დასთანხმდა—მხარი დაუჭიროს იტალიის მოთხოვნას, რომ მას მიეცეს ერიტრეასა და იტალიის სომალის შორის რკინიგზის აგებისა და ექსპლოატაციის კონცესია, ხოლო იტალია დასთანხმდა—მხარი დაუჭიროს ინგლისის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ მიეცეს მას კონცესია ტანის ტბაზე კაშხალის ასაგებად და საავტომობილო გზის გასაყვანად კაშხალსა და სუდანის საზღვარს შორის. რომის შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთმა დაუთმო იტალიას ზოლი ლივიის საზღვარზე, მიწის მცირე ნაკვეთი სომალის სანაპიროზე, დუმეირას კუნძული და დასთანხმდა—მისცეს იტალიას ადის-აბება-ჯიბუტის რკინიგზის აქციების 20 პროცენტი). (ადს).

ვოლდე-მარიამი აბისინიის წარმომადგენელია ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე

პარიზი, 10 მაისი. გაზეთების ცნობებით, ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე, რომელიც ხვალ გაიხსნება, აბისინიის წარმომადგენლად იქნება აბისინიის ელჩი პარიზში ვოლდე მარიამი (ადს).

◇ ◇ ◇

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს ცნობა

პარიზი, 10 მაისი. „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს ცნობა ტორეზისა და დიუკლოს ლეონ ბლუმთან შეხვედრის შესახებ. „ამ შეხვედრას,—ნათქვამია ცნობაში,—გულითადობისა და ურთიერთნდობის ხასიათი ჰქონდა. ბლუმმა იკითხა — დაიცავს თუ არა კომუნისტური პარტია თავის ცნობილ პოზიციას მთავრობაში მონაწილეობის მიღების შესახებ. ტორეზმა და დიუკლომ განაცხადეს, არჩევნებმა ვერ შეცვალეს კომპარტიის პოზიცია, რომელიც გულახდილად და ამჟღავნად იყო გამოთქმული პარტიის ყრილობაზე ვილერბანში და არჩევნებამდე მთელი კამპანიის განმავლობაში. ტორეზმა და დიუკლომ აღნიშნეს, რომ სახალხო ფრონტის პარტიათა წარმატებამ მოითხოვა კომპარტიის, ისე როგორც სხვა პარტიების უფრო ფართო დახმარება, რათა გატარებული ყოფილიყო საფრანგეთის ხალხის ნებასურვილის შესაფერი პოლიტიკა. ისინი დაეთანხმნენ ბლუმს, რომ საერთო საქმის წარმატება უნდა უზრუნველყოფილ იქნას, რადგან უნდა დაეჯერდეს. ამ აზრით კომპარტია უპირველესყოვლისა იმედს ამყარებს ხალხის მასების ორგანიზაციისა და მოქმედებაზე და წინადადებას იძლევა შეიქმნას ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის კომიტეტები. რაც შეეხება პრესის კამპანიას, ეგრეთწოდებულ უთანხმოების გამო სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის სამთავრობო პოლიტიკის შეფასების შესახებ, კომპარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ჩვენ უპირველეს ყოვლისა ფრანკის დაცვა გვაწუხებს, თუმცაღა ძველი ხელისუფლების სათავეში ივნისის დამდეგამდე დარჩება. მთავარი ის არის, აღნიშნეს ტორეზმა და დიუკლომ, რომ ხალხი ვიხსნათ ფრანკის დაცემისაგან და არ დავუშვათ სპეკულაციის თარეში. კომპარტია მთელი ძალღონით შეებრძოლება დევალვაციას, რომელიც გადაჭრით დაგმო ფრანგმა ხალხმა. პოლიტბიურომ მოიწონა თავისი წარმომადგენლების პოზიცია, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ახალ მთავრობაში მონაწილეობაზე უარი სთქვეს, თანაც აღუთქვეს, მას ლოიალურად დაუჭერენ მხარს და აგრეთვე დაიცავენ ფრანკსაო.

ამხ. მორის ტორეზი

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს სხდომა

პარიზი, 10 მაისი. დღეს გაიხსნა სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს სხდომა საერთო-პოლიტიკური მდგომარეობის განსახილველად არჩევნებში სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის გამარჯვებასთან დაკავშირებით. (სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭო შესდგება პარტიის საოლქო ფედერაციების წარმომადგენლებისაგან—სულ დაახლოვებით 90 კაცისაგან).

სხდომა გაიხსნა პარტიის გენერალური მდივნის ფორის გამოსვლით. ფორმა განაცხადა, რომ სოციალისტურმა პარტიამ განიხილა მთავრობაში ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის საკითხი. „ახლა ჩვენ მივდივართ ხელისუფლებისაკენ პარტიის სასტიკი კონტროლის ქვეშ,—განაცხადა ფორმა,—და მზად ვართ მომავალში დავტოვოთ მთავრობა, თუ ამას პარტია მოითხოვს". ფორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის სათავეში ჩადგომის შემდეგ სოციალისტები გაატარებენ სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის პროგრამას. მან განაცხადა, რომ სოციალისტებმა მთავრობაში თანამშრომლობა შესთავაზეს სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის ყველა პარტიას, კომუნისტების ჩათვლით. „თუ ზოგიერთი პარტია,—განაცხადა ფორმა,—უარს იტყვის ამ თანამშრომლობაზე, ჩვენ მზად ვართ ვიკისროთ პასუხისმგებლობა ხელისუფლებისათვის სახალხო ფრონტის სხვა პარტიებთან ერთად, ანდა ერთპიროვნულად".

ლებამ და ჟირომსკიმ აგრეთვე მხარი დაუჭირეს მთავრობის შექმნას სახალხო ფრონტის ყველა პარტიის მონაწილეობით.

პარიზი, 10 მაისი. სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭოს სხდომა დამთავრდა რეზოლუციის მიღებით, რომლის ძირითადი დებულებანი მდგომარეობენ იმის აღნიშვნაში, რომ სოციალისტურ პარტიას წილად ხვდა ახალი მთავრობის შექმნის მისია და რომ პარტია თავს არ აარიდებს ამ მისიას.

რეზოლუცია იმეორებს მოწოდებას სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის სხვა პარტიებისადმი, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ მთავრობაში. მაგრამ, თუ სახალხო ფრონტის ზოგიერთი პარტია არ დასთანხმდება ამ მოწოდებას, მაშინ სოციალისტური პარტია მთავრობას შექმნის სახალხო ფრონტის იმ პარტიებთან ერთად, რომლებიც ამის თანხმობას განაცხადებენ, და თუ საჭირო გახდება, დამოუკიდებლად შექმნის მთავრობას.

პარტიის ნაციონალური საბჭო აგრეთვე მიმართავს შრომის საყოველთაო კონფედერაციას, რათა ხელი შეუწყოს მას. ნაციონალური საბჭო ავალებს პარტიის ადმინისტრატიულ კომისიას, ბიუროს და პირადად ლეონ ბლუმს—აწარმოოს მოლაპარაკება სახალხო ფრონტის სხვა პარტიებთან (ადს)

◇ ◇ ◇

ქალთა შრომის ბეგარა გერმანიაში

ბერლინი, 10 მაისი. გერმანიაში შრომის ბეგარის საქმეთა სტატს მდივანმა გირლმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში შრომის ბეგარა ქალებისთვისაც იქნება შემოღებული (ადს).

ფინეთის შოვინისტების მხეცური ღმუილი

ჰელსინგფორსი, 9 მაისი. ჟურნალ „ზურიაა სუომი"-ში, რომელსაც უშვებს ანტისაბჭოთა ცილისწამებით კამპანიების სულისჩამდგმელი — „კარელიის აკადემიური საზოგადოება", მოთავსებულია სსრ კავშირის მიმართ უაზრო გამოლაშქრებითა და ლანძღვა-გინებით აღსავსე მოწოდება. მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ფინებმა, რომლებსაც თვითონ სძულთ რუსები, უნდა „ასწავლონ სხვებს—ისე ღრმად და ძლიერად სძულდეთ რუსები, რომ ამ სიძულვილის ფესვები არასოდეს არ დაჭკნეს... დაე სიტყვა „სატანა" განიდევნოს ლანძღვა-გინების ლექსიკონიდან და შეიცვალოს სიტყვით „რუსი". ჩვენ უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებს [illegible] იმისა, რომ როგორც არ უნდა შეიცვალოს მათი გრძნობა და განწყობილება მომავალში. ერთი რამ უცვლელი უნდა იყოს: რუსების სიძულვილი.... დაე თვითეულმა პარტიამ შეიტანოს თავის პროგრამაში რუსეთის [illegible] დეს, — სიძულვილი, რომელიც შეპყრობილი უნდა იყოს ყველა და რომელიც სიბრაზისაგან უნდა აკანკალებდეს მათი ხსენების დროს. მაშინ ჩვენ მზად ვიქნებით მივიღოთ რუსები და მოვუმზადოთ მათ ადგილი ჩვენს უძირო ჭაობებში".

ზოგიერთი გაზეთი აღნიშნავს რომ ამ მოწოდებას, გაკვირვებას გამოუთქვამს მის ავტორთა დაუსჯელობის გამო. სუომენ სოციალ-დემოკრატი" ამის გამო სწერს, რომ, რამდენადაც ის ქვეყანა, რომელთანაც ფინეთი მეგობრულ ურთიერთობაშია, ამ მოწოდებიდან თავის განსაკუთრებულ დასკვნებს გამოიყვანს, ამგვარი მავნე აგიტაცია უნდა აიკრძალოს, რადგან იგი ხალხის უმრავლესობის აზრს სრულიადაც არ შეეფერება. (ადს).

„იზვესტიას" კომენტარიები

მოსკოვი, 10 მაისი. დღეს „იზვესტია", კომენტარიებს უკეთებს რა ფინეთის „კარელიის აკადემიური საზოგადოების" ცილისწამებით აღსავსე მოწოდებას, რომელიც შეიცავს მრავალ უაზრო გალაშქრებასა და ლანძღვა-გინებას საბჭოთა კავშირის მიმართ სწერს:

„ფინელ შოვინისტთა მხეცური ღრიანცელი ცხადყოფს საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის, თუ რა ხასიათის პროპაგანდას ეწევიან საბჭოთა კავშირის მიმართ იმ სახელმწიფოში, რომელიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტით და რომელიც ეჭვგარეშეა, არა ნაკლებ დაინტერესებულია საბჭოების დიდ ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობით, ვიდრე ეს უკანასკნელი ფინეთთან.

საჭირო არ არის ბევრი სიტყვა დავხარჯოთ იმისათვის, რომ დავახასიათოთ გონებრივი და მორალური დონე ამ მოწოდების ავტორებისა, ვინც ქადაგებს სიძულვილს საბჭოთა კავშირის იმ ხალხებისადმი, რომლებმაც ფინეთი ცარიზმის უღლისაგან გაანთავისუფლეს. სწორედ ასევე ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა იციან, თუ რა ფასი აქვს ფინელ შოვინისტთა ამ ღრიანცელს. საბჭოთა კავშირის ხალხებს განზრახვა არა აქვთ ასეთი ექსცესებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრონ ფინელ ხალხს, რომლის უმრავლესობას სურს მეგობრულად იცხოვროს საბჭოთა კავშირთან. მაგრამ არ შეიძლება ფინეთის მთავრობას მოეხსნას პასუხისმგებლობა ასეთი პროპაგანდის შეწყნარებისათვის, იგი არ შეიძლება ანგარიშს არ აძლევდეს თავის თავს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებზე ფინელი ხალხის ასეთი წასისიანების შესაძლებლობამ, რომელიც მიცემული აქვთ ფინელ შოვინისტებს, არ შეიძლება არ აღძრას უნდობლობა ფინეთის მთავრობის პოლიტიკისადმი, მით უმეტეს, რომ შოვინისტ ყბედებს, რომლებიც ფინელი ხალხის უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ, როგორც ყველამ იცის, ფინეთის არმიის გავლენიან წრეებში ჰყავთ მფარველნი. ჩვენ ვფიქრობთ, ფინეთის საზოგადოებრივი აზრის ის ნაწილი, რომელიც ფინელ კულტურულ და მშვიდობიანობის მსურველ ხალხს წარმოადგენს, უნდა გამოვიდეს არა მარტო აღვირახსნილ ფინელ შოვინისტთა წინააღმდეგ, არამედ მათ მაღალი თანამდებობის მფარველთა წინააღმდეგაც, რომელთაც დაავიწყდათ, რომ ისინი ვალდებული არიან შესწყვიტონ ასეთი აგიტაცია" (ადს).

◇ ◇ ◇

პარტიზანული მოძრაობა მანჯურიაში

ტოკიო, 10 მაისი. დომეი (ცუსინის) სააგენტო იუწყება, რომ 9 მაისს ბენსის მახლობლად (მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით) ლეიტენანტ მიაძაკის სარდლობით მომქმედ იაპონელთა რაზმსა და 200 კაცისაგან შემდგარ აჯანყებულთა რაზმს შორის გაიმართა ბრძოლა. ბრძოლის დროს მოკლეს მიაძაკი, მძიმედ დაიჭრა ერთი იაპონელი ჯარისკაცი.

◇ ◇ ◇

საფრანგეთის დამოკიდებულება იტალიის მთავრობის დეკრეტისადმი

პარიზი, 10 მაისი. ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებას აბისინიის ანექსიის შესახებ და იუწყება: „საფრანგეთის მთავრობამ თავის დროზე გააფრთხილა იტალიის მთავრობა, რომ იგი სავსებით და მთლიანად იტოვებს უფლებას შემდეგში განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება ასეთი მოქმედებისადმი".

პარიზი, 10 მაისი. პერტინაქსი „ეკო დე პარიში" ეხება იტალიის მთავრობის დეკრეტს აბისინიის ანექსიისა და აბისინიის იმპერატორად იტალიის მეფის გამოცხადების შესახებ და აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 8 დღის განმავლობაში საფრანგეთის მთავრობა უშედეგოდ ცდილობდა რომსა და ლონდონში აბისინიის პრობლემის კომპრომისულად გადაჭრას აბისინიაში ისეთი რეჟიმის დაწესების გზით, როგორიც მაროკოსა და ეგვიპტეში არსებობს. ასეთი ფორმულა, რომელიც საიმისოდ იყო ნავარაუდევი, რომ სასურველი კომპრომისული გადაწყვეტილება დაეკავშირებინა ინგლის - საფრანგეთ-იტალიის 1906 წლის ხელშეკრულებასთან, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმედი ჰქონდა შეერიგებინა ინგლისი და იტალია და დაეცვა საფრანგეთის კომპანიებისა და საფრანგეთის სახელმწიფო ინტერესები. (ადს)

მუსოლინის სიტყვა

რომი, 10 მაისი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ მუსოლინიმ გუშინ სიტყვა წარმოსთქვა ვენეციური სასახლის აივნიდან. შეეხო რა მთავრობის დეკრეტებს აბისინიის შესახებ, მუსოლინიმ ხაზი გაუსვა, რომ ახლა იტალიამ შექმნა თავისი იმპერია, რომელსაც იარაღით დაიცავს ვისგანაც უნდა იყოს. „ტერიტორია და მოსახლეობა, რომელიც აბისინიის იმპერიას ეკუთვნოდა,— სთქვა მუსოლინიმ,—ახლა იტალიის სამეფოს სრული სუვერენიტეტის ქვეშ არის" (ადს).

უცხოეთის წარმომადგენელთა მიღება რომში

რომი, 10 მაისი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ დიდი ფაშისტური საბჭოს სხდომის შემდეგ მუსოლინიმ მიიღო იტალიის ლონდონელი ელჩი გრანდი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა, მან მიიღო აგრეთვე გერმანიის, ბრაზილიის, იაპონიის, ავსტრიის და უნგრეთის ელჩები, ალბანეთის საქმეთა რწმუნებული, გერმანიის, ავსტრიისა და ალბანეთის სამხედრო ატაშეები (ადს)

◇ ◇ ◇

საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა საბერძნეთში

სოფია, 10 მაისი. სალონიკიდან სარკინიგზო მიმოსვლა შეჩერებულია. მიღებული ცნობების თანახმად, მთელ საბერძნეთში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა სალონიკში გაფიცულ მუშათა დემონსტრაციების მიმართ ძალის ხმარების წინააღმდეგ საბერძნეთის ჩრდილოეთ ნაწილში.

სალონიკში გრძელდება შეტაკება გაფიცულებსა და პოლიციას შორის. მუშათა წინააღმდეგ მოქმედებენ აგრეთვე ჯარის სატანკო ნაწილები (ადს).

◇ ◇ ◇

უკანასკნელი ცნობები

იტალიის დელეგატმა ერთა ლიგის გენერალურ მდივან ავენოლს გადასცა ტექსტი იტალიის მთავრობის დეკრეტისა აბისინიის ანექსიის შესახებ.

ჟენევა, 11 მაისი. იტალიის დელეგატმა ბოვა სკოპამ გუშინ ინახულა ერთა ლიგის გენერალური მდივანი და ჩააბარა მას ტექსტი იტალიის მთავრობის დეკრეტისა აბისინიის ანექსიის შესახებ ლიგის საბჭოს წევრებისათვის გადასაცემად. ამავე დროს ბოვა სკოპამ აგრძნობინა ავენოლს, რომ იტალიის დელეგაციის თავმჯდომარე ალოიზი 11 მაისს წამოაყენებს საკითხს, რომ ლიგის სესიაზე არ იქნან დაშვებული აბისინიის სხვა წარმომადგენლები, გარდა თვითონ ალოიზისა.

ეგრეთწოდებული ნეიტრალური ქვეყნების 8 წარმომადგენელმა დაავალა დანიის დელეგატს მუნხს: თუ ალოიზი ამგვარი განცხადებით გამოვა, მაშინ მათი სახელით გამოაქვეყნონ დეკლარაცია, რომ ერთა ლიგის წევრი სახელმწიფო არ შეიძლება განდევნილ იქნას ცალმხრივი აქტით. (ადს).

ახალი კაბინეტი ესპანეთში

პარიზი, 11 მაისი. ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აზანიას არჩევასთან დაკავშირებით, გადადგა მისი კაბინეტი. დროებითი მთავრობის შედგენა, რომელიც იარსებებს მანამდე, სანამ აზანია რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის ასრულებას შეუდგებოდეს, დაევალა საგარეო საქმეთა მინისტრს ბარსიას.

ბარსიამ შეადგინა მთავრობა, რომელშიც აზანიას კაბინეტის ყველა მინისტრი თავის პორტფელებს ინარჩუნებს, ხოლო თვითონ ბარსიას ერთსადაიმავე დროს უკავია პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები. (ადს).

ნარაზენის (ზუგდიდის რაიონი) ჩაის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე ტექნოლოგი ამხ. ბურძენიშვილი და საშრობი საამქროს გამგე ამხ. ჭანტურია ამოწმებენ ახლად კრეფილ ჩაის ფოთლის ხარისხს.

პარტწევრობის კანდიდატებს მეტი მზრუნველობა

ფოთის ქალაქკომის ინსტრუქტორის ამხ. გარ. ბურძგლას წინათაც მოუწვევია თათბირები, მაგრამ უკანასკნელ დროს მოწვეული პარტწევრობის კანდიდატთა თათბირი სხვას არ წააგავდა. კანდიდატების ცალკე თათბირი ეს პირველი იყო მის მუშაობის პრაქტიკაში.

თვითანგარიში, როგორ სწავლობს პარტიის წესდებას და როგორ იბრძვის კანდიდატი წესდების პირველი და მეორე პარაგრაფის განხორციელებისათვის, როგორ ეხმარებიან მას, რა უშლის ხელს მუშაობაში, — აი საკითხები, რომლის შესახებაც მსჯელობდა თათბირი.

43 პარტწევრობის კანდიდატი დაესწრო ამ თათბირს. პირველი სიტყვა მისცეს კერელიშვილს (პარტსკოლის ორგანიზაცია).

— კანდიდატად რომ მიმიღეს, ელემენტარულ პოლიტიკურ საკითხებშიც ვერ ვერკვეოდი, — დაიწყო მან. — შემდეგ პარტორგანიზაციის დახმარებით თანდათან შევისწავლე პარტიის წესდება და პროგრამა. ამჟამად პარტსკოლაში ფრიადებზე ვსწავლობ. საუკეთესოდ მეხმარება ჩემზე მომაგრებული პარტწევრი მიხაშვილი. ვკითხულობ გაზეთებს, ჟურნალ „პარტიულ მშენებლობას", აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას. უკვე წაკითხული მაქვს საყვარელიძის „უკანასკნელი ჯვაროსნები", ნინოშვილის თხზულებებიდან: „სიმონა", „გოგია უიშვილი", „ჯანყი გურიაში" და სხვ.

ყოველივე ამით კერელიშვილმა იმდენად აამაღლა თავისი თეორიული მომზადების დონე, რომ ამჟამად პროპაგანდისტადაც არის გამოყენებული და ერთ-ერთ მოწინავე პროპაგანდისტად ითვლება.

კერელიშვილს არც ამხ. შ. ბერაია ჩამორჩება (საქკვებვაჭრობა). ბერაია მცირემცოდნეა. მან მხოლოდ 1932 წელს ისწავლა წერაკითხვა, მაგრამ მაინც ახერხებს მოწინავეობას პარტიის წევრობის კანდიდატთა შორის. მან კარგად იცის პარტიის წესდება და პროგრამა. გამოირკვა, რომ ბერაია კარგად იბრძვის წესდების ცხოვრებაში განხორციელებისათვის. ორგანიზაციაში იჩენს საუკეთესო დისციპლინას. სისტემატურად ესწრება კრებებს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საკითხების გადაწყვეტაში. პოლიტსკოლაში ფრიადზე სწავლობს. ბერაია წარმოებაშიც მოწინავე ადამიანად ითვლება. გეგმას 140 პროცენტით ასრულებს.

ჩემი ნაკლი ის არის, რომ დღემდე არ ვეტანებოდი მხატვრულ ლიტერატურას, აწი კი ამას სერიოზულად მოვკიდებ ხელსო, — განაცხადა მან.

თათბირზე გამოირკვა, რომ მოწინავე კანდიდატების გვერდით არიან ჩამორჩენილებიც. ზოგიერთი ორგანიზაცია კი მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევს და სათანადოდ ვერ ეხმარება. მაგალითად, ხორცკომბინატის ორგანიზაციამ (პარტორგი ხარჩილავა), კანდიდატ გ. თავაძეს ოდესღაც დავალება გაეცა გაევრცელებინა ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ ეს მას არ შეუსრულებია. პარტორგის განცხადებით მასზე მიმაგრებულია პარტწევრი ღვანია, მაგრამ თვითონ თავაძემ ამის შესახებ არაფერი იცის. მას დღემდე არა აქვს შესწავლილი პარტიის წესდება. თავაძე მცირემცოდნეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ჩაერიცხათ პარტისტორიის წრეში და დაირქვა როგორც „თავისუფალი მსმენელი".

პარტწევრობის კანდიდატმა რუხაძემ (საოლქკომბი) არ იცის პარტიის წესდება, არ იცის, თუ რა თანამდებობა უჭირავთ ამხ. მოლოტოვს, ვოროშილოვს, ბერიას და სხვა ჩვენს ხელმძღვანელ ამხანაგებს. მართალია, ამხ. რუხაძე კრებებს და პოლიტმეცადინეობებს არ აკლდება, მაგრამ თავის თავზე არ მუშაობს, გაზეთსაც არ კითხულობს.

ასევე ითქმის თოფურიასა (საოლქკომბი) და ნ. მიმინოშვილის (სოფრეწვი) შესახებაც.

თათბირმა გამოსთქვა აზრი, რომ 5 მცირემცოდნე კანდიდატი, რომლებიც პარტისტორიის წრეში ირიცხებიან, ჩაბმულ იქნას პოლიტგანათლების სათანადო ქსელში.

ჩამორჩენილ ამხანაგებს მიეთითა პოლიტიკური დონის ამაღლებისა და აქტიურ პარტიულ მუშაობაში ჩაბმის აუცილებლობაზე.

მზ. გვასალია.

არტელის წესდების უხეშად გამრუდების ფაქტები

ვ. ბიშიძე

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სას.-სამ. განყ. ინსტრუქტორი

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება ურყევი კანონია, რომლის გაუხრელად გატარება პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ზოგან არტელის წესდების უხეში დამახინჯება გვხვდება.

შევეხოთ არტელის სახსრების საკითხს. არტელის მე-9 მუხლის ძალით კოლმეურნეობაში შემსვლელს შეაქვს შესასვლელი გამოსაღები 20—40 მანეთამდე, მეურნეობის სიძლიერის მიხედვით. მაგრამ სტალინირის (სამხრეთ-ოსეთი) კოლმეურნეობა „ზივონში" ასე არ იქცევიან. ამ კოლმეურნეობამ შარშან მიიღო 57 ახალი წევრი, 29 მარტისათვის შესასვლელი გამოსაღები არცერთ კოლმეურნეს შეტანილი არ ჰქონდა. ასეთივე მდგომარეობაა აქ ახლადმიღებულ წევრთა განსაზოგადოებული ქონების განუყოფელ და სამაიო ფონდებში განაწილების შესახებ. 1935 წელს მიღებული 30 კომლის მიმართ განსაზღვრულიც არ არის განუყოფელი და სამაიო ფონდებში გადასარიცხი თანხის რაოდენობა მათი განსაზოგადოებული ქონებიდან. უხეშად არის დარღვეული სას. სამ. არტელის მე-12 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის ხარჯვის წესს. კოლმეურნეობის გამგეობა სახსრებს ხარჯავს არა იმ მუხლის მიხედვით, რაც შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვით არის გათვალისწინებული.

კოლმეურნეობა „ზივონს" 1935 წელს ჰქონდა 21.455 მანეთი და 61 კაპ. შემოსავალი. აქედან, წლიური ანგარიშის მიხედვით, განუყოფელ ფონდში გადარიცხულია 7827 მანეთი და 72 კაპ., რაც შეადგენს მთელი შემოსავლის 36,5 პროც., სას. სამ. არტელის წესდების მე-12 მუხლის მიხედვით კი კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდში უნდა გადარიცხოს ფულადი შემოსავლის არა უმეტეს 10—20 პროცენტისა. მაგრამ ნუ გგონიათ, კოლმეურნეობას თითქოს წლის დამლევს დაემახინჯებინოს წესდების ეს მუხლი. არა! ეს შედეგია მთელი წლის განმავლობაში თანხების უკონტროლოდ ხარჯვისა. წლის დამლევს რაიმიწგანი იძულებული შეიქნა დაედასტურებინა ეს ფაქტი და ჩაეწერა იგი წლიური ანგარიშის საბოლოო აქტში.

კოლმეურნეობის გამგეობას შეუძლია ფულადი შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი დახარჯოს ადმინისტრატიულ-სამეურნეო საჭიროებისათვის, მაგრამ წესდების იმავე მე-12 მუხლით მტკიცედ დადგენილია, რომ ასეთი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს 2 პროცენტს. „ზივონის" გამგეობამ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯებზე 1935 წელს დახარჯა 2198 მანეთი, რაც შეადგენს მთელი ფულადი შემოსავლის 10,2 პროც.

წლიური ანგარიშის მიხედვით კოლმეურნეობის გამგეობას შრომადღეებზე უნდა გაენაწილებინა 1691 მანეთი და 61 კაპ., არც გამგეობის თავმჯდომარემ, არც მოანგარიშემ „არ იციან", სადაა ეს თანხა.

რა დახმარებას გაუწევს ამ კოლმეურნეობას რაიმიწგანი?

1935 წლის წლიური ანგარიშის შედგენის დროს ამ კოლმეურნეობაში მივლინებული იყო აგრონომი ნაკაიძე. მან გამოაშკარავა ეს დამახინჯება, მაგრამ დაკმაყოფილდა მხოლოდ აქტის შედგენით. აქტში სწერია „გასინჯულია. ადგილი აქვს გადახარჯვას განუყოფელი ფონდისა და ადმინისტრაციის სამეურნეო ხარჯებში, გადახარჯვა განუყოფელი ფონდისა უნდა იქნას აღდგენილი და თანხა დარიგებული კოლმეურნეებისთვის შრომადღეების მიხედვით. 1936 წ. 16 თებერვალი, ნაკაიძე".

მიუხედავად ამისა, არც კოლმეურნეობის გამგეობას, არც რაიმიწგანს აზრადაც არ მოსვლიათ საქმის გამოსწორება.

სოფ. ჯავის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში არ მოიპოვება საბუთი, თუ რომელმა კოლმეურნემ რამდენი გადიხადა შესასვლელი გადასახადი, ან სად არის ის თანხა, რომელიც შეიტანეს კოლმეურნეობაში შესასვლელი გამოსაღების აკრეფით. დღემდე არავინ ზრუნავს ამ საქმის მოსაწესრიგებლად. 1935 წელს კოლმეურნეობას ჰქონდა 3.651 მან. ამ თანხიდან ერთი კაპეიკიც არ გადაურიცხავთ განუყოფელ ფონდში. ადმინისტრატიულ-სამეურნეო საჭიროებისათვის კი დახარჯულია 474 მან 97 კაპ. ე. ი. საერთო შემოსავლის 13 პროც. წლიური ანგარიშის მიხედვით, შრომადღეებისთვის გასაცემი ფული ჯერ არ დაურიგებიათ.

იმავე რაიონის სოფ. ბუზალის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში არ მოიპოვება რაიმე საბუთი კოლმეურნეების მიერ განსაზოგადოებული ქონებისა. ამ მდგომარეობას ხსნიან იმით, რომ 1932 წელს კოლმეურნეობამ აიყვანა მოანგარიშე არტემ გასიევი, რომელმაც სთქვა, „ყველაფერი თავიდან უნდა დაეიწყოთო". გაიღემა მთელი საბუთები მისამ. მას შემდეგ ამ საბუთების აღდგენაზე აღარავის უზრუნია. კოლმეურნეობას 1935 წელს ჰქონდა 7737 მანეთი და 35 კაპ. ფულადი შემოსავალი. ამ თანხიდან არცერთი კაპეიკი განუყოფელ ფონდში არ გადაურიცხავთ. ხოლო ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯებში დახარჯული თანხა უდრის 9 პროცენტს.

ასეთ დამახინჯებებს ვხვდებით აგრეთვე სხვაგანაც. სოფ. ძაუს კოლმეურნეობა „წითელი არტელი" (ზნაურის რაიონი) აერთიანებს 285 კომლს. ეს კოლმეურნეობა დაარსდა 1930 წელს. 1935 წლის 1 სექტემბრის შემდეგ კოლმეურნეობაში შესულია 55 კომლი. არც ძველს, არც ახალ წევრებს შესასვლელი გამოსაღები არ შეუტანიათ და არც განსაზოგადოებული ქონება არის განაწილებული განუყოფელ და სამაიო ფონდებში.

ასეთივე მდგომარეობაა სოფ. ქალის კოლმეურნეობაში, რომელშიც გაერთიანებულია 287 კომლი. აგრეთვე კასპის რაიონის სოფ. ქედის კოლმეურნეობა. ეს კოლმეურნეობა ჩამოყალიბებულია 1935 წლის აგვისტოში. აერთიანებს 53 კომლს. არცერთ მათგანს შესასვლელი გამოსაღები შეტანილი არა აქვს. კოლმეურნეობის გამგეობა ფიქრობს, რომ შესასვლელ გამოსაღებს კოლმეურნეებს დაუკავებენ ფულადი შემოსავლის განაწილების დროს, რაც არ არის სწორი.

სოფ. წითელქალაქის კოლმეურნეობა „თეძამის" გამგეობას 1936 წლის ხარჯთაღრიცხვაში ადმინისტრატიულ-სამეურნეო საჭიროებისათვის შეტანილი აქვს 2300 მანეთი, რაც მთელი ფულადი შემოსავლის 5,6 პროცენტს შეადგენს. ამ კოლმეურნეობას ასაკრეფი აქვს შესასვლელი გამოსაღები — 1600 მანეთი, ბოსლის შენება კი ვერ დაუწყიათ უფულობის გამო.

არტელის სტალინური წესდების ეს დარღვევა აიხსნება იმით, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, მტს-ები და რაიმიწგანები ამ საქმეს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ისინი არ ამოწმებენ კოლმეურნეობებში წესდების გატარებას, არ ეხმარებიან მათ წესდების ურყევად გატარებაში.

სას.-სამ. არტელის წესდების ცხოვრებაში მტკიცედ გატარებისათვის ყველა პარტიულ ორგანიზაციასა და საბჭოთა ორგანოს ჯერ კიდევ შარშან ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მესამე პლენუმზე აფრთხილებდა ამხ. **ლავრენტი ბერია:** „ჩვენ უკვე ცხადად ვხედავთ, თუ რა უდიდესი დახმარება გაუწია სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურმა წესდებამ ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობას. ამის საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს ათეულ ათას ახალ ერთპიროვნულ მეურნეობათა შემოსვლა კოლმეურნეობებში. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ამ წესდების გატარების მთელი სამუშაო მუდამ მოქცეული იყოს ჩვენი პარტორგანიზაციების ცკ-ებ. და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების თვალთახედვის არეში. სისტემატურად და ოპერატიულად უნდა ვუხელმძღვანელოთ ამ საქმეს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უბანზე შესაძლებელია ძალიან დიდი გამრუდებანი და დამახინჯებანი, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მეტად არასასიამოვნო შედეგები".

ამხ. ბერიას ეს მითითება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს. ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ სტალინური წესდების ყოველგვარ დამახინჯებას და მთელი მუშაობა იმნაირად უნდა წარვმართოთ, რომ არცერთმა კოლმეურნეობამ არ დაუშვას წესდების რომელიმე მუხლის დარღვევა.

◆

100 ფუთი თამბაქო ჰექტარზე

სოფ. ჯაგაზის (ყვარლის რაიონი) კოლმეურნეობა „განთიადს" 40 ჰექტარი ფართობი ყოველმხრივ მზად აქვს თამბაქოს გადასარგავად. აშენებულია თამბაქოს საშრობი 30 ფარდული, შეკეთებულია 10 ფარდული.

კოლმეურნეობაში თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის ორგანიზატორია ამხ. სანდრო ჯახაძე, რომელსაც მეთამბაქოეობაში მუშაობის 48 წლის სტაჟი აქვს. სანდრო 1919 წლიდან პარტიის წევრია და ნამდვილად ამართლებს პარტიის წევრობის მაღალ სახელს. შარშან მან 400 შრომადღე გამოიმუშავა. საუკეთესო მუშაობისათვის 400 მანეთი მიიღო ჯილდოდ. წელს სანდრო დაინტერესებულია მეტი მოსავლის მიღებით. ამხ. ჯახაძემ იკისრა ვალდებულება, რომ ჰექტარზე სახელმწიფოს ჩააბაროს 100 ფუთი თამბაქო.

შ. ბაფრინდაშვილი

სტალინის სახ. ორთქლმავალთა სარემონტო ქარხნის ლითონის ჩამომსხმელი საამქროს სტახანოველი — ორდენოსანი მუშა ქალი ამხ. როდიონოვა — ტრანსპორტელთა საკავშირო თათბირის მონაწილე მოსკოვში. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით, კომბერკოტის კოსტიუმით, პატეფონით და წიგნთა ბიბლიოთეკით.

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა სარემონტო ქარხნის ორდენოსანი მექვაბე ამხ. ბუჭაძე თავისი ოჯახით ამხ. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში. ფოტო სახოკიმრეშვილისა.

საქმეს გვიფერხებთ, შორაპნელო ამხანაგებო!

(ფოთი „კომუნისტის" ბრიგადისაგან.)

ფოთის ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება მექანიზაციაზე მომუშავე ორ მტვირთავ ბრიგადებს შორის. სტახანოველებმა აიღეს ვალდებულება, რომ ნავსადგურში მოსული შემადგენლობა 20 წუთით ადრე დაუბრუნონ რკინიგზას, ვადაზე ადრე გაუშვან გემები, ხოლო აპრილის გეგმა 25 რიცხვისათვის შეასრულონ.

მეორე საწარმოო რაიონის სტახანოველებმა ეს ვალდებულება ბოლშევიკურად გაანაღდეს. გემი „პიონერი" 12 აპრილს 1.104 ტონა ტვირთით 4 საათით ადრე დატვირთეს, 14 აპრილს გემი „ფაბრიციუსი" 4200 ტონა ტვირთით — 10 საათით ადრე, 15 აპრილს გემი „ტიმირიაზევი" 3204 ტონა ტვირთით — 19 საათით ადრე, „დეკაბრისტი" 650 ტონა ტვირთით 6 საათით ადრე და სხვ.

10 აპრილს კი კომკავშირელმა მემანქანეებმა ბელოვმა და დეგტიარევმა საკ. ალკკ მე-10 ყრილობას პირველი საკავშირო რეკორდი მიუძღვნეს: გემი „ტომპი" 2700 ტონა ტვირთით ნაცვლად 13 საათისა და 15 წუთისა, 3 საათსა და 45 წუთში დატვირთეს.

არც მეორე საწარმოო რაიონია ჩამორჩენილი, სტახანოვური ბრიგადები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოს, თუმცა არც ეს არის შესაძლებლობის მაქსიმუმი.

მაგრამ სტახანოველებს ხელი ეშლებათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ შორაპნელი ამხანაგებისადმი გაგზავნილ წერილში ნავსადგურის სტახანოველები სწერდნენ: „თქვენ საქმეს გვიფერხებთ შორაპნელო ამხანაგებო. როცა შორაპანში უხეიროდ ტვირთავთ ვაგონებს, — ფაქტიურად უკან გვწევთ იმის ნაცვლად, რომ დაგვეხმაროთ და მაღალ საფეხურზე აგვიყვანოთ სტახანოვური მოძრაობა. ნუთუ ვერ უკვირდებით ამას". და ამხანაგურ დახმარებას სთხოვენ მათ.

შორაპნელების მხრით ხელის შეშლა დღემდე გრძელდება. რაში გამოიხატება ეს?

აი რაში. შემადგენლობა, რომელსაც მარგანეცი მოაქვს, შორაპანში იტვირთება. ვაგონების 75 პროცენტი უკვე მექანიზებულია, ვაგონებზე დადგმულია კვიბელები, ნავსადგურში კვიბელს მოუბამენ ჯაჭვს და ტვირთი უშუალოდ გემში გადააქვთ, ხოლო ცარიელი კვიბელი ისევ თავის ადგილას იდგმება, ასე რომ თითო ვაგონის დაცლას და გემში ტვირთის გადატანას ბოლოდ 5 წუთი სჭირდება.

შორაპანში კი ამ მექანიზებულ ვაგონებს უხეიროდ ტვირთავენ. კვიბელი თითქმის ცარიელი ან ნახევრად ცარიელი დგას ვაგონზე, ხოლო მარგანეცის მადანი კვიბელსა და კვიბელს შორის ყრია. ასეთი ვაგონების განტვირთვა ძალიან ძნელია და გაცილებით მეტ დროს მოითხოვს.

მექანიზებული ვაგონების სპეციფიკური მოწყობილობის გამო მუშას საშუალება არა აქვს თავისუფლად ამოქმედოს ნიჩაბი. გარდა ამისა, მარგანეცი მიწაზე უნდა გადმოყარონ და შემდეგ ჩატვირთონ გემში; ეს მაშინ, როცა ვაგონის წესიერად დატვირთვის შემთხვევაში შეიძლება უშუალოდ გემში მიწოდება.

ამგვარად, დატვირთულ ვაგონების განტვირთვას ნაცვლად 5 წუთისა 2-3 საათი სჭირდება, რითაც ხელი ეშლება სტახანოვურ მუშაობას და ზედმეტი თანხებიც იხარჯება.

ნავსადგურის სტახანოველებმა რატომღაც ხმა ვერ მიაწვდინეს შორაპნელებს. ნუთუ შორაპნელმა ამხანაგებმა არ იციან სტახანოვური მუშაობის დაფასება? ნუ თუ კიდევ გაგრძელდება ეს მდგომარეობა.

სიტყვა შორაპნელ სტახანოველებს ეკუთვნის.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა:
მზ. გვასალია, არ. ქოიავა, ტ. ომიაძე, შ. კაკოიშვილი, ერ. გოგიავა, დ. ჯალაღანია, გ. კუპრაძე, ბ. აბურჯანია.

ვ. იმედაძე

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი.

მხატვრული ლიტერატურა მასებში

„ხელოვნება ეკუთვნის ხალხს. იგი თავისი ულრმესი ფესვებით უნდა იჭრებოდეს ხალხის უფართოესი მასების თვით სიღრმეში.

იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრს და ნებისყოფას, ამაღლებდეს მათ".

ლენინი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მხატვრულ ლიტერატურას. ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი კითხულობდნენ მხატვრულ ლიტერატურას რამდენიმე ენაზე და კერძოდ რუსულ ენაზეც, რომ მარქსი პერიოდულად გადაიკითხავდა ხოლმე ძველი საბერძნეთის ლიტერატურას (ცხადია, ბერძნულად) და განსაკუთრებით უყვარდა ანტიკური ქვეყნის დიდი დრამატურგი ესქილე. მარქსმა თითქმის ზეპირად იცოდა დანტეს დიდებული ნაწარმოები „ღვთაებრივი კომედია". ხშირად იქიდან ზეპირად მოჰყავდა ადგილები. მარქსის ოჯახში გამეფებული იყო შექსპირის ნამდვილი კულტი. ხშირი იყო შემთხვევა, რომ მარქსი დაიწყებდა ზეპირად შექსპირის ადგილების თქმას, მერმე ცოლი ჩამოართმევდა, შემდეგ თქმას განაგრძობდნენ მარქსის ქალიშვილები. ძლიერ უყვარდათ მარქს-ენგელსს სერვანტესი. ბალზაკი, რომელიც მათ მიაჩნდათ საფრანგეთის უდიდეს გენიალურ რომანისტად (ენგელსი ამბობდა, საფრანგეთის ცხოვრების შესასწავლად ბალზაკის რომელიმე რომანი უფრო მეტს მაძლევს, ვიდრე მთელი ხროვა ისტორიკოსებისა და ეკონომისტების ნაწერები). ლენინს ძალიან უყვარდა მხატვრული ლიტერატურა. ნ. კ. კრუპსკაია თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „ილიჩი არა თუ კითხულობდა, არამედ რამდენჯერმე გადაიკითხავდა ხოლმე ტურგენევს, ლ. ტოლსტოის. მე-ციმბირში თან წაიღო პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი. ვლადიმერ ილიჩმა დაალაგა ისინი თავის საწოლთან — ჰეგელის გვერდით და ხელახლა გადაიკითხავდა ხოლმე მათ საღამოობით. მას ყველაზე მეტად უყვარდა პუშკინი... მახსოვს, ციმბირში გვქონდა აგრეთვე გოეთეს „ფაუსტი" გერმანულ ენაზე და ჰაინეს ლექსთა ტომი"... კრუპსკაიას ცნობით, ლენინი ლამაზობით ხშირად კითხულობდა ვერჰარნსაც, უკვე ავადმყოფს უყვარდა ჯეკ ლონდონის მოთხრობების მოსმენა...

ყველასათვის ცნობილია ის უდიდესი განსაკუთრებული ყურადღება და გულთბილი მზრუნველობა, რომელსაც პარტიის ბელადი ამხ. სტალინი ჩვენი საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის მიმართ იჩენს. ამხ. სტალინის თვითეული გამოსვლა ადასტურებს მის მიერ მხატვრული ლიტერატურის ღრმად ცოდნას, რაც ახასიათებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებასა და პოლიტიკაში კულტურის საკითხებზე მხატვრულ ლიტერატურას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ავიღოთ, მაგალითად, ლენინის დამოკიდებულება ტოლსტოისადმი.

„ტოლსტოის — მხატვარს თვით რუსეთშიც კი უმნიშვნელო უმცირესობა იცნობს. მისი დიდი ნაწარმოებნი რომ ნამდვილად ყველას საკუთრება გავხადოთ, საჭიროა ბრძოლა და კიდევ ბრძოლა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, რომელმაც მილიონებს და ათეულ მილიონებს არგუნა სიბნელე, სიბეჩავე, საკატორღო შრომა და სიღატაკე. საჭიროა სოციალისტური გადატრიალება.

„ტოლსტოიმ მოგვცა მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებსაც მუდამ დააფასებენ, წაიკითხავენ მასები, როცა ისინი თავისთვის შექმნიან ცხოვრების ადამიანურ პირობებს, გადალახავენ რა მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელს", — (სწერდა ლენინი 1910 წ.).

რას გვასწავლის ჩვენ. პარტიულ მომუშავეებს, მარქსის და ლენინის ასეთი განსაკუთრებული ყურადღება მხატვრული ლიტერატურის საკითხების მიმართ. ლენინის მოთხოვნა რომ ტოლსტოის დიდი ნაწარმოებნი მასებში გავხადოთ ყველასი. რაში ფაქტით მასებში შევიტანოთ მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის საგანძურები? ვლადიმერ ილიას-ძე ჯერ კიდევ 1905 წელს თავის ცნობილ წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" ამბობდა, რომ ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს ორგანიზებული, გეგმაზომიერი, გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის შემადგენელი ნაწილი, რომ ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს აუცილებელი და სავალდებულო სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის დანარჩენ ნაწილებთან განუყრელად დაკავშირებული ნაწილი (ტომი 8, გვ. 384-388).

ლაგოდეხის რაიონს აქვს ერთგვარი დადებითი გამოცდილება საკოლმეურნეო მასებში მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდა — გავრცელების საქმეში. ამ გამოცდილებას თითქმის სამ. წლის ისტორია აქვს და ჩვენ გვინდა გავუზიაროთ სხვა რაიონებს ეს ჩვენი გამოცდილება. წინასწარ ვიტყვით, რომ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი გვაქვს მომავალში. ჯერ კიდევ 1933 წელს შევუდექით მხატვრული ლიტერატურის ჩანერგვას კოლმეურნე მასებში. 1934—1935 წლებში ამ საქმეს ორგანიზებული ხასიათი მიეცა. ჩვენ ხელსაყრელად გამოვიყენეთ ის კარგი პირობები, რომელსაც გვიქმნის თამბაქოს კულტურა. ეს არის თამბაქოს ასხმისად კოლმეურნე ქალების და კაცების ათასობით (მთელი რაიონის მასშტაბით) თამბაქოს ფარდულებში შეგროვება. პირველად ჩვენ შემოვიღეთ ეგრეთწოდებული „ლიტერატურული საათი", მხატვრული ლიტერატურის კითხვისათვის, გამოვიყენეთ მასწავლებლობა, უფროსი კლასის მოწაფეები, მოანგარიშეები, სამკითხველოს გამგეები და სხვა კულტურული ძალები. თუ პირველ ხანებში ეს ამხანაგები კითხულობდნენ თავის სურვილის მიხედვით, მერმე უკვე ვაძლევდით იმ ლიტერატურის სიას, რომლის წაკითხვაც სასურველი იყო პირველ ხანებში. შემდგომ ამ სიებიდან თანდათანობით ჩამოყალიბდა საკოლმეურნეო აქტივის და რაიონული პარტაქტივის ლიტერატურული მინიმუმი. თანდათანობით შემოვიღეთ წაკითხული ლიტერატურის აღრიცხვა შემდეგი ფორმით: ავტორი, ნაწარმოების სახელწოდება, სად და როდის იქნა წაკითხული ეს ნაწარმოები, რამდენი დაესწრო, ვინ წაიკითხა. აღრიცხვის ეგრეთწოდებულ საკონტროლო რვეულს ამოწმებენ პარტ-კომკავშირის ორგანიზატორები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, სოფლის საბჭოს კულტსექციები. ჩვენ ჯერ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ეს საკონტროლო რვეულები სისტემატურად ივსებოდეს, მაგრამ ამისათვის ვიბრძვით და მივაღწევთ კიდეც. ამას კი უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ის ამტკიცებს დისციპლინას, გეგმიანობას. ახლა ხმამაღლა კითხვა თვით მინდვრებში გადავიტანეთ. ძლიერ ხშირად ჩვენს ნორმას, ე. ი. ლიტერატურულ საათს წამკითხველებმა გადააცილეს. კითხვა ხშირად გრძელდება 2-3-4 და მეტ საათს, სანამ არ მოიღლება თვით წამკითხველი. იყო შემთხვევა, როცა საკოლმეურნეო ბიბლიოთეკის გამგემ საღამოს დაიწყო წიგნის კითხვა და კოლმეურნეებმა მანამდე არ გაუშვეს, სანამ წიგნი მთლად არ წაიკითხეს. კითხვას რამდენიმე საათი მოანდომეს. კოლმეურნეები დაძაბული ყურადღებით, სულგანაბულნი უსმენდნენ.

საინტერესოა, რას კითხულობენ? ს. ვარდისუბნის კოლმეურნეობაში წაკითხულია (ყოველდღიური გაზეთების კითხვის გარდა) „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება", „კაკო ყაჩაღი", „ჯანყი გურიაში", „ჯაყოს ხიზნები", „ტარიელ გოლუა", „ვარდოშილი", „ვეფხის-ტყაოსანი", ვაჟა-ფშაველა (კრებული), „სამანიშვილის დედინაცვალი", „სურამის ციხე", „ბაში-აჩუკი", „მოლა ნასრადინის ოხუნჯობა" და სხვ. მხატვრული ლიტერატურის ხმამაღლა კითხვამ უკვე გაამართლა თავი. ხმამაღლა წამკითხველები პოპულარული გახდნენ და უსათუოდ დიდ კულტურულ საქმესაც აკეთებენ. ზოგი სოფლის საბჭო (მაგალითად ბაისუბანია და აფენის) უკვე ჩაება ამ კულტურული ღონისძიების ხელმძღვანელობის საქმეში. ბაისუბნის სასოფლო საბჭომ კულტსექციის საშუალებით ჯერ მიამაგრა წამკითხველები ბრიგადებს, მერმე რამდენიმე ხნის შემდეგ შეამოწმა მათი მუშაობა მოისმინა პრეზიდიუმზე მათი მოხსენება დააჯილდოვა კარგი წამკითხველები და ასეთი მუშაობის შედეგად მხატვრული ლიტერატურის კითხვა (და საერთოდ ლიტერატურული მუშაობა) იქ ყველაზე უკეთ არის დაყენებული.

ლაგოდეხის რაიკომის უკანასკნელ დადგენილებაში „ლიტერატურული მუშაობის შესახებ კოლმეურნეობებში" ჯგუფურ-ბრიგადული ხმამაღლა კითხვის შესახებ სწერია: „გადასინჯულ და საბოლოოდ დამტკიცებულ იქნეს მხატვრული ლიტერატურის წამკითხველთა კადრები. გამოყოფილ იქნეს ის ახალი ძალები, მცოდნე, ლიტერატურის მოყვარული კოლმეურნეები, რომელნიც გამოვლინებული იქნა კოლმეურნე მკითხველთა სარაიონო კონფერენციის მომზადების პერიოდში", სასურველად არის ჩათვლილი გაზეთებისა და მხატვრული ლიტერატურის ხმამაღლა მკითხველები იყვნენ სხვადასხვა პირები (დიდ კოლმეურნეობებში კი ეს სავალდებულოა), რადგან კოლმეურნეობებში ახლად გაზრდილი კულტურული ძალები მოიძებნება.

ჩვენს რაიონში მხატვრული ლიტერატურის მასობრივი პროპაგანდის ერთ-ერთი პოპულარული ფორმა არის ლიტერატურული ნაწარმოების გარჩევა — ეგრეთწოდებული „ლიტერატურული გასამართლება" ისეთ ნაწარმოების გმირებისა, როგორიც არის „ქრისტინე" „გოგია უიშვილი", „განდეგილი", „პირველი დედა", „ამხანაგი ბუთხუზი", „ჯაყოს ხიზნები" და სხვა. ამ „გასამართლებებს" ესწრება აუარებელი ხალხი. სწარმოებს გაცხარებული კამათი. ამ კამათში ხშირად იბმებიან ისეთი კოლმეურნეები, რომლებიც სხვა დროს მუდამ ჩუმად იყვნენ. მაგ., კომკავშირის მეათე ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში (სოფ. ვარდისუბანი) ქრისტინეს გასამართლება ორ საღამოს გაგრძელდა. გამოვიდა 30 კაცი, 6 ქალი — მათ შორის 15 რიგითი კოლმეურნე. ამ გარჩევა-გასამართლების ნაკლია. ის, რომ ხშირად დაბალია მათი პრინციპული და ლიტერატურული დონე, თემატიკის ერთგვარი სიღარიბე მათი გამართვის არარეგულარული ხასიათი, რაიონული ორგანიზაციების მხრივ მათი არასაკმაო ხელმძღვანელობა. პარტრაიკომის დადგენილების თანახმად, ასეთი გარჩევა-„გასამართლებები" უნდა ეწყობოდეს ხშირად. მაგალითად, მსხვილ კოლმეურნეობებში — ორ თვეში ერთხელ მაინც.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენთან თემატიურ-ლიტერატურული საღამოები, მიძღვნილი ამა თუ იმ მწერლისადმი (რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, პუშკინის, ნეკრასოვის,) შემოქმედებისადმი. ეს საღამოები შემდეგი წესით ტარდება. პირველად ისმენენ მოხსენებას მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ეცნობიან ლექსად ან შინაარსის გადმოცემით მწერლის ნაწარმოებს და ბოლოს ხდება მხატვრული გაფორმება-გასცენიურება მწერლის რომელიმე ნაწარმოებისა, მაგალითად „კაკო ყაჩაღის" და სხვ. ასეთ საღამოებს ამა თუ იმ მწერლის პოპულარიზაციისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, კოლმეურნეობაში „სტალინის გზით" ილია ჭავჭავაძის საღამოს ჩატარების შემდეგ კოლმეურნენი მიდიოდნენ საღამოს მომწყობ მასწავლებელ ელენე გელდიაშვილთან, ხელს ართმევდნენ და უხნებოდნენ: დიდად გმადლობთ იმ დიდი სიტკბოებისათვის, რაც ჩვენ ვიგრძენით ამ საღამოზე. ასეთივე სურათი იყო ვაჟა-ფშაველას საღამოზე კოლმეურნეობაში „მეჩვიდმეტე ყრილობა" (მოაწყო იმავე გელდიაშვილმა). ასევე კოლმეურნეობებში: „წინსვლა" (ს. თამარიანი), „ოქტომბრის ქარიშხალი" (ს. სალუნინი). ამ საღამოებს, ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ სკოლები ატარებენ. როგორც დადგმებში, აგრეთვე ლექსების და ნაწარმოებთა შინაარსის თქმაში ნაკლებად არიან ჩაბმული თვით კოლმეურნენი. ამასთან ასეთი საღამოები ჯერჯერობით ფართოდ ვერ არის გაშლილი. მაგალითად ვაჟა-ფშაველას საღამოები მხოლოდ 10 კოლმეურნეობაში ჩაატარეს. რაიკომის უკანასკნელი დადგენილების თანახმად, მაის-ივნისში მთელ რაიონში უნდა ჩატარდეს 54 ლიტერატურული საღამო, მათ შორის რუსთაველის — 20, პუშკინის — 20 (რუსულ და ქართულ კოლმეურნეობებში), კოსტა ხეთაგუროვის, ოსური ლიტერატურის დამაარსებელ — კლასიკოსისა (ოსურ არტელში) — 10 და ოთხიც თურქულ კოლმეურნეობებში თანამედროვე თურქული მწერლობის გარშემო.

ჩვენი ხანგრძლივი მუშაობა მხატვრული ლიტერატურისადმი კოლმეურნეთა ინტერესის აღსაძრავად დაგვირგვინდა ლიტერატურის იმ მინიმუმით, რომლის წაკითხვა აუცილებელია ჩვენი კოლმეურნეებისათვის. მხატვრული ლიტერატურის მინიმუმის დამუშავება-დამტკიცება დიდი მოვლენაა ჩვენი რაიონის კულტურულ ცხოვრებაში, კერძოდ მასებში მხატვრული ლიტერატურის გავრცელების საქმეში. ახლა საგზური მიცემულია, სემაფორი ღიაა, მიზანი და საშუალებანი ნათელია. ლიტერატურული მინიმუმი ჩვენ გვაქვს ორი ტიპის საკოლმეურნეო აქტივისათვის (კოლმ. თავმჯდომარე, პარტ-კომკავშირ. ორგანიზაციები, ბრიგადირები და სხვა) და სარაიონო პარტიულ და კომკავშირულ აქტივისათვის. მინიმუმი შედგენილია ცალკე ქართული და ცალკე რუსული მკითხველის გათვალისწინებით.

1936 წლის წასაკითხი მინიმუმი არც ისე ცოტაა. წასაკითხის გეგმა საკმაოდ დატვირთულია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენთან კოლმეურნეობებში არიან ამხანაგები, რომლებსაც უკვე წაკითხული აქვთ მინიმუმში აღნიშნული წიგნების მეტი ნაწილი. რომ მთელმა რიგმა კოლმეურნეებმა აიღეს ვალდებულება საკოლმეურნეო აქტივის მინიმუმი შეასრულონ ვადაზე ადრე, მაგალითად აგვისტოში, მაშინ, ცხადია, ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს შევამციროთ ეს მინიმუმი. კოლმეურნეთა მასებში მხატვრული ლიტერატურის ფართოდ გავრცელების დარგში ჩვენი მუშაობის უმთავრეს საფეხურს წარმოადგენს აქტიურ მკითხველ კოლმეურნეთა პირველი სარაიონო კონფერენცია და კოლმეურნეობებში რუსთაველის კომიტეტების ჩამოყალიბება.

◆

რაიონებში

შეჯიბრებაში ვიწვევ მარიკა ფუნდუკიძეს

კოლმეურნე ქალის წერილი

მე ვარ მამათის (ლანჩხუთის რაიონი) ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. კარგად შევისწავლე ჩაის ფოთლის კრეფის ტექნიკა და მივაღწიე იმას, რომ დღიურ დავალებას შარშან 400 პროც. ვასრულებდი. მოვიპოვე წარჩინებული ადამიანის — სტახანოველის საპატიო სახელი.

შარშან მრავალი ჯილდო მივიღე, საქართველოს მიწსახკომის რესპუბლიკური ჯილდოც მხვდა წილად. ახლა კი ის, რაც შარშან გავაკეთე, აღარ მაკმაყოფილებს.

ჩაის ფოთლის კრეფას მომზადებული შევხვდი. კრეფის პირველი დღეები მოწმობენ, რომ შარშანდელი მაჩვენებლები უკან მოვიტოვე.

წელს უფრო ენერგიით შევუდექი მუშაობას. ჩემში დიდი სიხარული გამოიწვია პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ კრემლში საქართველოს წარჩინებული ადამიანების მიღებამ და უმაღლესი ჯილდოთი — ორდენებით დაჯილდოებამ. გაზეთებიდან გავიგე, თუ რა გულთბილად შეხვდა ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი** წარჩინებულ ადამიანთა დელეგაციის თვითეულ წევრს. გავიგე, თუ რა მზრუნველობა გამოიჩინეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მათ მიმართ. ეს იმიტომ, რომ საბჭოების ქვეყანაში შრომა გმირობის, დიდების, ღირსების საქმედ იქცა.

ახლა ჩემი საზრუნავია ერთი რამ, რადაც უნდა დამიჯდეს, გავუსწრო კრეფაში მარიკა ფუნდუკიძეს.

კრეფის ტექნიკის უფრო მეტად დაუფლებით, სამუშაო დროის მოხერხებული გამოყენებით შევძლებ ყოველდღიური დავალების შესრულებას 450 პროცენტით და ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით.

ვკისრულობ ამ ვალდებულებას და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ სტახანოველ მკრეფავს ამხ. მარიკა ფუნდუკიძეს.

ვთხოვ ამხ. მარიკას მიპასუხოს წერილობით.

არბიტრებად ვასახელებ საქ. კ.პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომს და გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას.

ფონა კილაძე

◇

მანქანების რემონტი დავამთავრეთ

გეგუთ-ბარის მეურნეობის საბჭოთა მეურნეობამ სამტრესტის სისტემაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებს შორის პირველმა ერთი თვით ვადაზე ადრე დაამთავრა მოსავლის აღების მანქანა-იარაღების რემონტი.

მეურნეობის დირექტორი ლომია.

◇

ჩაის ფაბრიკა მზად არ არის

წალენჯიხის ჩაის ფაბრიკა სეზონში ამზადებს 604.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის გადასამუშავებლად.

დამთავრებულია საქრობი საამქროს მშენებლობა და დაწყებულია სამონტაჟო სამუშაოები. მაგრამ მოწყობილი არ არის ვენტილატორები, რაც აუცილებლად შეაფერხებს მუშაობას. დამხარისხებელ საამქროშიაც ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი.

არც ტრანსპორტია მოგვარებული. 7 საბარგო მანქანის ნაცვლად ფაბრიკას მოეპოვება მხოლოდ ორი ნახევრადსაბარგო მანქანა, რაც ვერ უზრუნველყოფს ფაბრიკისათვის ჩაის ფოთლის შეუფერხებლივ მიწოდებას.

ვ. ზარქუა

პუშკინის კომიტეტში

10 მაისს ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შედგა პუშკინის გარდაცვალების ასი წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კომიტეტის მესამე სხდომა, რომელზედაც განიხილეს იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

კომიტეტმა მიიღო და დაამტკიცა ამხ. ბორის გორდელაძის მოხსენება პუშკინის გამოფენის მოწყობის შესახებ. პუშკინის გამოფენა, კომიტეტის დადგენილებით, უნდა გაიხსნას სახელმწიფო მუზეუმის ერთერთ დარბაზში. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება როგორც ის მასალები, რომლებიც შეგროვილია პუშკინის საქართველოში ყოფნის შესახებ, აგრეთვე ის მასალები, რომლებსაც აგროვებენ პუშკინის გამოფენისათვის მოსკოვში. გამოფენისათვის მასალების შეგროვება დავალებული აქვთ მწერალთა კავშირის მუზეუმის და სახელმწიფო მუზეუმის მუშაკებს.

კომიტეტის აღნიშნულ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი პუშკინის ძეგლის აგების ტფილისში. გადაწყდა ტფილისის ერთერთ მოედანზე აღიმართოს პუშკინის ძეგლი. ტფილისის საბჭოს დაევალა 7 დღის განმავლობაში წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები ძეგლის ადგილის შესახებ.

კომიტეტმა მიიღო და მოიწონა აგრეთვე პოეტ ტ. ტაბიძის წინადადება „ევგენი ონეგინის" რუსულად გამოცემის შესახებ „რჩეული თხზულებების" თანდართვით და სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალის წარმომადგენლის ამხ. ქ. გორდელაძის წინადადება პუშკინის შესახებ სპეციალური კრებულის გამოცემის შესახებ.

კომპოზიტორთა კავშირის სახელით კომიტეტს წინადადებანი წარუდგინა პროფ. **დ. არაყიშვილმა**. მან განაცხადა, რომ საქართველოს კომპოზიტორებს გადაწყვეტილი აქვთ პუშკინის შესახებ დაწერონ ახალი მუსიკალური ნაწარმოებები და გამოყონ ეს ნაწარმოებები საიუბილეო დღეებისათვის. საამისოდ კომპოზიტორთა კავშირმა წარადგინა ხარჯთაღრიცხვა. კომიტეტმა მოიწონა და მიიღო კომპოზიტორთა კავშირის წარმომადგენლის წინადადებანი.

◇

„ნორჩი ლენინელის" 5 წლისთავისათვის

პიონერები, მოწაფეები და საქართველოს მთელი ნორჩი თაობა მხურვალედ ემზადებიან საკუთარი გაზეთის „ნორჩი ლენინელის" (საქ. ა.ლ.კ.კ. ც. კ-ის ორგანო) ხუთი წლისთავის აღსანიშნავად.

10 ივნისამდე საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციები პიონერებსა და მოწაფეებს შორის ჩაატარებენ ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას გაზეთის მნიშვნელობის შესახებ.

სკოლებსა და პიონერ-რაზმებში მოიწვევენ გაზეთის საიუბილეო შეკრებებს. სადაც კომკავშირელები თანხობით მოუწყობენ საუბრებს „ნორჩი ლენინელის" მუშაობის შესახებ.

5 ივნისს ტფილისში მოეწყობა ნორჩი კორესპონდენტების, პედაგოგების, პიონერ-ხელმძღვანელების და სასოფლო კედლის გაზეთთა აქტივისტების საქალაქო შეკრება.

2-დან 6 მაისამდე ტფილისში ჩატარდა ჩოგბურთელთა შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე. სურათზე: ჩოგბურთის ერთერთი საუკეთესო მოთამაშე — სოხუმის მე-7 სკოლის მოწაფე ა. კოლჯორინი.

ა.-კ. სამედიცინო დეკადა უკრაინაში

სურათზე — მარცხნიდან მარჯვნივ: საქ. ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარე დოც. პ. კიკალიშვილი; შინაგან სნეულებათა კლინიკის გამგე ორდენოსანი პროფ. ნ. ყიფშიძე; საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი — დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. გ. მამალაძე; ტუბინსტიტუტის დირექტორი — დელეგაციის მდივანი პროფ. ი. აბაკელია; დიაგნოსტიკის კათედრის გამგე პროფ. შ. მიქელაძე; მედინსტიტუტის პროფესორი ივ. თიკანაძე; ქვევით — მარცხნიდან მარჯვნივ: სანიტ.-ჰიგიენური ინსტიტუტის დირექტორი — უფროსი მეცნიერი მუშაკი ივ. ლორთქიფანიძე; გინეკოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი პროფ. გ. ლამბარაშვილი; ქალაქის პირველი კლინიკ. ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ალ. ალადაშვილი; უროლოგიური კათედრის გამგე პროფ. ალ. წულუკიძე; მედინსტიტუტის პროფესორი ვლ. ვორონინი, ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ს. კანდელაკი. ფოტო რ. აკოფოვისა.

დელეგატები მიემგზავრებიან დღეს

დღეს, 12 მაისს, საღამოს 6 საათზე უკრაინაში მიემგზავრება ამიერ-კავკასიის სამედიცინო დელეგაცია 41 კაცის შემადგენლობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ამიერ-კავკასიის სამედიცინო დეკადაში, რომელიც უკრაინაში ეწყობა 16-დან 30 მაისამდე. დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. **გ. მამალაძე**.

საქართველოდან დელეგაციაში შედიან პროფესორები **გ. მუხაძე, ა. ნათიშვილი, ა. ალადაშვილი, ა. წულუკიძე, გ. ლამბარაშვილი, ი. თიკანაძე**, ორდენოსანი პროფესორი **ნ. ყიფშიძე, ქ. ერისთავი, ი. კონიაშვილი, პ. შოშანია, ნ. მახვილაძე, ს. კანდელაკი, ი. აბაკელია** (დელეგაციის მდივანი), **შ. მიქელაძე, ვ. ვორონინი**, დოცენტი **ნ. ანთელავა**, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ექ. ვ. ლორთქიფანიძე** და საქ. სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე დოცენტი **პ. კიკალიშვილი**.

აზერბეიჯანიდან დელეგაციაში შედის 15 კაცი, სომხეთიდან—7, მათ შორის აზერბეიჯანის და სომხეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისრები ამხ. **მ. გუსეინოვი და ვ. ბეკონდიანი**, პროფესორები თოფჩიბაშევი, ალიბეგოვი, მიროკომოროვი, იდიენდიევი, ოვანესოვი, მელიქ-ადამოვი და სხვ.

დელეგაციას მიჰყვება გაზ. „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი ამხ. **შ. ბუაჩიძე**.

○

დელეგატები უკრაინაში გამოვლენ მოხსენებებით მედიცინის სხვადასხვა საკითხზე. საქართველოდან წაკითხული იქნება 17 მოხსენება, მათ შორის პროფ. ი. კონიაშვილის—„საქართველოს საკურორტო რესურსები", პროფ. ს. კანდელაკის — „ტროპიკული სნეულებანი", პროფ. ა. ნათიშვილის—„საქართველოს მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარების საკითხისათვის", ექ. ვ. ლორთქიფანიძის — „მასალები საქართველოს მედიცინის ისტორიისათვის", პროფ. ა. ალადაშვილის „ბორჯომის წყლის გავლენა კუჭის ფუნქციებზე", პროფ. ა. წულუკიძის — „ბაქტერიოფაგის გამოყენება ქირურგიაში", პროფ. გ. ლამბარაშვილის —„გინეკოლოგიური სისხლის-დენის საკითხისათვის" პროფ. ი. თიკანაძის — „სქესობრივი ჯირკვლების გავლენა შინაგანი სეკრეციის ზოგიერთ ჯირკვალზე", პროფ. ი. აბაკელიას — „ბრონქული ჯირკვლების ტუბერკულოზი ბავშვთა და მოზრდილთა შორის", პროფ. შ. მიქელაძის — „სპრუს (სნეულება) ეთიოლოგიისა, კლინიკისა და თერაპიისათვის", ორდენოსან პროფ. ნ. ყიფშიძის — „ნაღვლის ბუშტის ლამბლიოზის საკითხისათვის", პროფ. ქ. ერისთავის — „სიკვდილის მექანიზმი ცხიმოვანი ემბოლიის დროს", პროფ. გ. მუხაძის — „შარდსადინარების გადანერგვის საკითხისათვის", პროფ. ვ. ვორონინის — „ელენთის შენობისა და ფუნქციის საკითხისათვის" და სხვ.

მოხსენებები შესდგება კიევში, ხარკოვში, ოდესაში, დნეპროპეტროვსკში და სტალინოში. დელეგატები გამოვლენ აგრეთვე მსხვილ ფაბრიკა — ქარხნებში.

საქართველოს სახალხო განათლების ისტორიის მასალები

განსახკომის პედაგოგიკისა და პედოლოგიის სამეცნ.-კვლევითმა ინსტიტუტმა დააგროვა ბევრი მეტად საინტერესო ისტორიული დოკუმენტი, რომელიც შეეხება ჩვენში სწავლა-განათლების საქმეს. სექციაში აქტიურად მონაწილეობენ კვალიფიციური მეცნიერ-ისტორიკოსები და ძველი პრაქტიკოსი მასწავლებლები.

დაგროვილ საინტერესო მასალათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: მე-10-11 საუკ. სწავლა-აღზრდის საქმე; მეტად ძვირფასი ცნობებით სავსე იონა ხელაშვილის „რიტორიკა"; იოანე ბატონიშვილის პროექტი საქართველოს სწავლა-განათლების ორგანიზაციის შესახებ (1799 წ.); მე-18 საუკ. ნაბეჭდი ქართული სახელმძღვანელოები, რომელთაგან ორი გამოცემა სპეც. ლიტერატურაში დღემდე სრულიად უცნობი იყო; თელავის სემინარია (მოქმობა, სემინარიელები, სემინარიის წინადროინდელი სკოლა) და სხვ.

ფრიად საინტერესო მასალები აქვს დაგროვილი სექციას მე-19-20 საუკ. სახალხო განათლების ისტორიის დარგში. განსაკუთრებით სრულად არის სექციაში წარმოდგენილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორია (1879—1917); ტფილისის სასულიერო სემინარია, რომლის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქ. რევოლუციურ მოძრაობასთან; გიმნაზია და ქალთა საერო სასწავლებლები; ისტორია უმაღლესი სკოლის გახსნისა საქართველოში (ლიცეუმის დაარსების 1857 წ. პროექტიდან მოკიდებული).

აგრეთვე დამუშავებულია მენშევიკთა ბატონობის პერიოდის სწავლა-განათლების ისტორია.

ცალკე გამოცემებად ინსტიტუტი ამზადებს ამ მასალებს შრომებს: 1) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორია, 2) საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის ისტორიის მასალები, 3) სასოფლო თამაშობანი საქართველოში, 4) მენშევიზმის ბატონობის პერიოდის სწავლა-აღზრდის ისტორია და სხვ.

ქართული თეატრი სოხუმში

სოხუმი, 11 მაისი. ორდენოსანი აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილების მიზნით სოხუმის სახელმწიფო თეატრთან თავის დროზე შეიქმნა აფხაზური, ბერძნული და რუსული სათეატრო სექციები.

ამჟამად იქმნება ახალი ქართული სათეატრო სექცია, რომლის რეპერტუარში შეტანილია თანამედროვე ქართული ორიგინალური და აგრეთვე ნათარგმნი პიესები.

სექციის სამხატვრო ხელმძღვანელად მოწვეულია რეჟისორი ვ. გარიკი.

სოხუმში ჩამოვიდა ტფილისის სახელმწიფო მუსიკალური თეატრი ორდენოსანი რეჟისორის შ. ჯაფარიძის და დ. [illegible] ხელმძღვანელობით.

9 მაისს თეატრმა დასდგა პირველი წარმოდგენა — მოლიერის პიესა „სკაპენის ოინები". წარმოდგენას დიდძალი მაყურებელი დაესწრო, რომლებიც გულთბილად შეხვდნენ თეატრის კოლექტივს.

თეატრი სოხუმში 6 დღეს დარჩება (ადგ).

12.433 მანეთი პრემია გამომგონებელ ნოე თევზაძეს

მუშა-გამომგონებელმა ამხ. **ნოე თევზაძემ** (ქუთაისის საგრენაჟო ქარხანა) გამოიგონა განსაკუთრებული კონსტრუქციის აპარატი, რომელიც აჩქარებს აბრეშუმის თესლის—გრენის მიღების პროცესს. ამ აპარატს გამომგონებელმა უწოდა „გრენუმბარა". გასულ წელს ამხ. თევზაძის გამოგონება განახორციელეს ქუთაისის საგრენაჟო ქარხანაში და ერთი წლის განმავლობაში ქარხანამ მიიღო 179.896 მანეთის ეკონომია.

მიუხედავად ასეთი ეფექტურობისა, საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა მაინც შესაძლებლად არა სცნო ეს გამოგონება სხვა ქარხნებშიც დაენერგა. ამის გამო საქართველოს მუშა-გამომგონებელთა ცენტრალურმა საბჭომ აღძრა საკითხი აბრეშუმის მრეწველობის მთავარ სამმართველოში.

ამ რამდენიმე დღის წინათ აბრეშუმის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირის საგრენაჟო ქარხნებს წინადადება ეძლევათ განახორციელონ ამხ. ნ. თევზაძის მეთოდი. წელს თევზაძის სისტემის „გრენუმბარები" უნდა დაიდგან ფერგანის (უზბეკისტანი), ერევნისა და ალიაბის (აზერბეიჯანი) საგრენაჟო ქარხნებში.

ქუთაისის საგრენაჟო ქარხანას, რომელმაც განახორციელა თევზაძის გამოგონება და ამით მიიღო 179.896 მანეთის ეკონომია, აბრეშუმის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ გადაურიცხა 89.931 მანეთი.

თვითონ გამომგონებელს—ამხ. ნოე თევზაძეს პრემიის სახით მისცეს 12.433 მანეთი.

რედაქტორთა თათბირი

— საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილება 13 მაისს დღის 12 საათზე ა.-კ. სამხარეო კომიტეტის შენობაში (სხდომების დარბაზი, მეორე სართული) იწვევს რესპუბლიკური და მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორთა თათბირს.

დღის წესრიგში დგას საკითხი რესპუბლიკური და მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაობისა მუშკორებთან და მშრომელთა წერილებზე.

თათბირზე მოწვეული არიან: საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილების გამგე ამხ. გოგეშილი, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილების გამგე ამხ. შარია, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის რაიკომების კულტპროპგანყოფილებათა გამგეები: ამხ. კალანდაძე, ფარცხალაძე, გასვიანი, აბესაძე, პირაქვე და ქვემოთ დასახელებული რესპუბლიკური და მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორები: „ზარია ვოსტოკასი" —ამხ. შვეინიკი, „მოლოდოი რაბოჩისა"— ამხ. ორეხოვი, „ბოლშევისტსკაია პეჩატისა" ამხ. ოსტროვსკი, „კრასნი ვოინისა"—ამხ. გვანცელაძე, „კომუნისტისა" — ამხ. ნ. კიკნაძე „პროლეტარისა" ამხ. ცერეთელიანი, „მუშისა" ამხ. სიხარულიძე, „კომუნა-დემოკრატი" — ამხ. მიტ-ლაზარი, „ახალგაზრდა კომუნისტისა" — ამხ. აბულაძე, „წითელი არმიელისა" — ამხ. ხუცირიძე, „[illegible]" — ამხ. გუხეიძე, „ნორჩი ლენინელისა" — ამხ. წერეთელი, „კომუნისტური განათლებისა" — ამხ. სოსელია, „ბრძოლა ჩაისათვის" — ამხ. ორაგველიძე, „საქართველოს ფიზკულტურელისა" — ამხ. დევიძე, „[illegible] ტფილისისა" — ამხ. პავლინსკი, „ნა რუბეჟე ვოსტოკა" — ამხ. კრივიცკი, „ფიზკულტურნიკ ზაკავკაზიისა" — ამხ. მამულოვი, „წითელი მკერავისა" — ამხ. გოლუბენკო (მკერავი № 2), „წითელი ფეიქრისა" — ამხ. იგითხანოვი (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), „[illegible]" — ამხ. ოგანეზოვი (ტრამვაი) „ტფილისის მაუდელისა"—ამხ. აპრიაშვილი (მაუდის ფაბრიკა), „ბოლშევიკური კადრებისა" — ამხ. გეგეჭკორი (სახ. უნივერსიტეტი), „წითელი მკერავისა" — ამხ. ბუჯიაშვილი (სატრიკოტაჟო კომბინატი), „მაშინოსტროიტელისა" — ამხ. ჯიბორია, (26 კომუნარის ქარხანა), „კრასნი გარნიზონისა" — ამხ. კაპიტონოვი (ავტოსარემონტო ქარხანა), „კიროველისა" —ამხ. ავეტიკიანი (ა.-კ. ინდუსტრიული ინსტიტუტი), „მუშა მეტყევისა" — ამხ. სუმბათოვი (ფეხსაცმლის ფაბრიკა №1), „ლესნოი ფრონტისა" — ამხ. რაიზმანიცკი (ა.-კ. სატყეო ინსტიტუტი), „კრასნი ზაკავკაზიისა" ამხ. კოცლოვი (ა.-კ. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პოლიტგანყოფილება), „სტალინური ლოკომოტივისა" — ამხ. ზიწაძე (ა.-კ. რკინიგზის მეორე განყოფილება), „ჯანსაღი ვაგონისათვის" — ამხ. ათანაშვილი (ამხ. ბერიას სახ. ვაგონშემკეთებელი ქარხანა), „ჩვენი სავჭრისა" — ამხ. გაბრიაძე (სტალინის სახელობის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხანა), „წითელი დეპოელის" — ამხ. ხარაიშვილი (საორთქლმავლო დეპო), მთავლიტის უფროსი — ამხ. რუხაძე.

პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულმა დრამწრემ დასდგა ს. მთვარაძის პიესა „სურამის ციხე". სურათზე ამხ. ძაბარაძე დურმიშხანის როლში და ზურაბ მთვარაშვილი — ზურაბის როლში.

ბიბლიოგრაფია

აკაკი წერეთელი— რჩეული ნაწერები

აკაკი წერეთელი დაჟინებით იცავდა [illegible] ხელოვნების [illegible] საკითხებზე [illegible] ყველა მათ, ვინც ცდილობდა ხელოვნების საკითხებისათვის გვერდი აევლო, ცხოვრებას განზე გასდგომოდა და „წმინდა ხელოვნების" ქურუმად გამოსულიყო. აკაკისთვის უიდეო ხელოვნება ნამდვილ ხელოვნებას არ წარმოადგენდა. მთელი მისი შემოქმედება გარკვეულ იდეას ემსახურებოდა, პოეტს გარკვეული მიზანდასახულობა ჰქონდა. ამ მხრივ ზოგიერთ ჩვენს თანამედროვე მწერალსაც შეეძლო ზოგი რამ ესწავლა აკაკისაგან.

სხვა საქმეა ის, რომ აკაკი წერეთლის იდეალი ვიწრო იყო და შეზღუდული. ამ საკითხს ვრცლად და საფუძვლიანად არკვევს ამხ. გ. ასათიანი, რომლის წერილი („აკაკი წერეთელი") წინასიტყვაობის მაგიერ აქვს დართული სარეცენზიო წიგნს. აკაკი იბრძოდა გარეშე ძალის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის და თავისი იდეალის განხორციელებას საქართველოს წარსულში ეძებდა. ყველა საკითხის გადაჭრას აკაკი ეროვნული თვალსაზრისით უდგებოდა. თუ ის გლეხის მძიმე მდგომარეობას არჩევდა, იმ აზრისაგან მაინც შორს იყო, რომ ასეთი მდგომარეობის მიზეზი კლასობრივი თვალსაზრისით აეხსნა.

მართალია, მოხუცი პოეტი აღტაცებით შეეგება 1905 წლის რევოლუციას და „ღუმა ხალხს" გულთბილად უძღვნა, მაგრამ აკაკი მაინც ლიბერალურ აზროვნებას დარჩა.

სარეცენზიო წიგნი ჩვენი დიდი კლასიკოსის, ხალხის საყვარელი პოეტის რჩეულ ნაწერებს შეიცავს. მასში თავმოყრილია აკაკის ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები: ოთხმოცზე მეტი ლექსი, ოთხი პოემა („გამზრდელი", „თორნიკე ერისთავი", „ნაცარქექია", „ნათელა"), ხუთმოქმედებიანი დრამატული პოემა „თამარ ცბიერი" და პროზული ნაწერები („ჩემი თავგადასავალი", „ბაში—აჩუკი").

რედაქტორს (შ. რადიანი) რატომღაც საჭიროდ არ უცვნია წიგნისათვის კომენტარები დაერთო. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა ზოგიერთი მიძღვნის გაშიფრვა და ისტორიული ფაქტების კომენტირება.

წიგნი მშვენიერ ქაღალდზეა დაბეჭდილი. მხატვრული ნაწილი მხატვარ რ. ტაბაშვილის მიერ კარგადაა შესრულებული.

ა. უ.

◇

შემთხვევები

# ფულადი გზავნილების ქურდობა. საქართველოს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილებამ დააპატიმრა ტფილისის რკინიგზის ტრესტთან არსებული ფოსტა-ტელეგრაფის სააგენტოს გამგე მ. ა. კარმანაზიშვილი. კარმანაზიშვილი სისტემატიურად ითვისებდა კლიენტების მიერ გასაგზავნად ჩაბარებულ ფულს. [illegible] ამ ბლანკებს შორის მეტი წილი ტფილისის ტრამვაის გზავნილებისა იყო სხვადასხვა დაწესებულებიდან და პიროვნებისაგან მიღებული. გარდა ამისა, კარმანაზიშვილი ითვისებდა აგრეთვე გაზეთებისა და ჟურნალების ხელისმომწერთა ფულს. [illegible] სულ კარმანაზიშვილმა მიითვისა 6 ათას მანეთზე მეტი. გამოძიება სწარმოებს.

# მკვლელობა. 8 მაისს, საღამოს ს. გ. ხარებავა (შენახის ქ. № 10) და ა. გ. გრიგორიანი [illegible] მარტიროსოვის ბინაზე (ფიდერის ქ. №6). ქეიფში ხარებავა და გრიგორიანი [illegible] გამოსვლის შემდეგ [illegible] ხარებავამ [illegible] 11 წლის [illegible] 10 მაისს გარდაიცვალა. ხარებავა და [illegible] დაპატიმრებულნი არიან.

◇

პარტკალენდარი

— ამიერ - კავკასიის პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. 8, 1 სართული, ოთახი 8) ამხ. დოლიძესთან 13 მაისს უნდა გამოცხადდეს ამხ. თამარ ფოცხიშვილი.

რუსთაველის თეატრი 1935—36 წ. სეზონი

12 მაისს 6 აპ. 7 წარ.	სასტუმროს დიასახლისი
14 მაისს 12 აპ. 7 წარ.	სასტუმროს დიასახლისი

სალარო ღიაა 11—2, 6—9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

12 მაისს წარმოდგ. № 158	ჩაჩეხილი ხიდი
14 მაისს წარმოდგ. 159	ყვარყვარე თუთაბერი

ბილეთები თეატრის სალაროში 11—2, 6-9 ს.
ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან. დასაწყისი 8 საათზე.

სახკინმრეწვის თეატრები

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მე-2 კვირა „პარტიული ბილეთი" ხმოვანი ჟურნალი № 17
დამკვრელი სახ.-სახ. 6-15, 7-50, 9-30, 11	ახალი ხმოვანი ფილმი „უკანასკნელი ბანაკი" აპისირია № 5
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	უკანასკ. დღეები ხმოვანი სურათი „შვიდი მამაცი" კომკავშირის X ყრილობისათვის
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-3., 11	ხმოვ. ფილმი „ჯულბარსი" ხმოვანი ჟურნალი № 16.
სახაფხ. „ეთერი" დასაწყ. 8 ს. 15 წ.	ხმოვანი ფილმი „დუბროვსკი" „მამაცური ლაშქრობა"
26 კომუნარის სახ. 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვ. ფილმი „შვიდი მამაცი" ხმოვ. ჟურნალი № 15.
სახაფხ. [illegible] 8-15, 10-15	ხმოვ. სურათი „უჩინარი ადამიანი" საბჭოთა ხელოვნება № 6
ახალი ამბები	ხმოვ. ჟურნ. № 14, პიონერია № 2, კომკავშირის X ყრილობის მე-5 გამოშვება

„გლავხლადპრომის" ტფილისის მაცივარი
წინადადებას აძლევს ყველა იმ მუშასა და მოსამსახურეს, რომლებიც წინათ ტფილისის მაცივარზე მუშაობდნენ და რომლებსაც დათხოვნის, წასვლის, გადასვლის და სხვ. დროს რაიმე მიზეზით
არ მიუღიათ „მეორე ხუთწლედის მე-3 წლის"
სესხის თავისი ობლიგაციები, მიიღონ ისინი ამ პუბლიკაციიდან 5 დღის განმავლობაში.
აღნიშნული ვადის შემდეგ ობლიგაციები გადაეცემა ლენინის სახელობის რაიონის შემნახველ სალაროს.
133 ტფ. მაცივრის დირექტორი რიხმანი. მთ. ბუღალტერი ბაჟანოვი.

საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების დამხმარე საწარმოთა განყოფილება
რეგისტრირებულია კიროვის სახელობის რაიონის ფინგანში 1936 წლის 13 იანვარს, რეესტრის № 5—53.
საქმიანობის საგანი: გამომცემლობა, წარმოება და გაყიდვა წიგნისა, საკანცელარიო საქონლისა, აგრეთვე საექსპედიციო მოწყობილობის ნივთებისა.
გამგეობის მისამართი ქალ. ტფილისი, კეცხოველის ქ., № 11
საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის ქალაქის სააგენტოში № 160074.
მმართველი ს. ა. რაიბულოვი.
46 მთავარი ბუღალტერი ა. ი. ხუბაშვილი.

ამიერ-კავკასიის რკინიგზათა სამმართველო
იუწყება, რომ 1936 წლის 15 მაისიდან შემოღებულია ტფილისის სადგურზე სამგზავრო მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლის შემდეგი
ახალი განრიგება:

ტფილისიდან გადის

ჩქარი	მატ. №	29	მოსკოვამდე	0 ს. 45 წ.	ყოველდღე
სამგზავრო	მატ. №	47	„	20 ს. 13 წ.	„
„	მატ. №	61	ხარკოვამდე	7 ს. 05 წ.	„
„	მატ. №	59	ბაქომდე	14 ს. 15 წ.	„
საფოსტო	მატ. №	73	„	1 ს. 30 წ.	„
სამგზავრო	მატ. №	42	ბათომამდე	18 ს. 30 წ.	„
„	მატ. №	44	„	0 ს. 15 წ.	„
საფოსტო	მატ. №	74	„	8 ს. 30 წ.	„
სამგზავრო	მატ. №	46	კელასურამდე	12 ს. 15 წ.	„
საფოსტო	მატ. №	76	„	20 ს. 35 წ.	„
სამგზავრო	მატ. №	50	ქუთაისამდე	22 ს. 25 წ.	„
„	მატ. №	52	ბორჯომამდე	6 ს. 59 წ.	„
„	მატ. №	54	„	15 ს. 25 წ.	„
საგარეუბნო	მატ. №	102	გორამდე	13 ს. 00 წ.	„
„	მატ. №	104	კასპამდე	14 ს. 06 წ.	„
სამგზავრო	მატ. №	5	ერევნამდე	8 ს. 55 წ.	„
„	მატ. №	57	„	22 ს. 45 წ.	„
საფოსტო	მატ. №	77	ჯულფამდე	13 ს. 00 წ.	„
სამგზავრო	მატ. №	63	წითელ-წყლამდე	0 ს. 20 წ.	„
„	მატ. №	65	თელავამდე	21 ს. 50 წ.	„
საფოსტო	მატ. №	79	„	10 ს. 4[illegible] წ.	„
საგარეუბნო	მატ. №	111	ნავთლუღამდე	6 ს. 10 წ.	„
„	მატ. №	113	„	14 ს. 34 წ.	„
„	მატ. №	115	„	4 ს. 32 წ.	„
„	მატ. №	117	„	18 ს. 27 წ.	„

ტფილისში მოდის

ჩქარი	მატ. №	30	მოსკოვიდან	8 ს. 35 წ.	ყოველდღე
სამგზავრო	მატ. №	48	„	4 ს. 44 წ.	„
„	მატ. №	62	ხარკოვიდან	13 ს. 20 წ.	„
„	მატ. №	60	ბაქოდან	23 ს. 25 წ.	„
საფოსტო	მატ. №	74	„	7 ს. 42 წ.	„
სამგზავრო	მატ.	41	ბათომიდან	7 ს. 15 წ.	„
„	მატ. №	43	„	9 ს. 41 წ.	„
საფოსტო	მატ. №	73	„	0 ს. 51 წ.	„
სამგზავრო	მატ. №	45	კელასურიდან	3 ს. 00 წ.	„
საფოსტო	მატ. №	75	„	12 ს. 30 წ.	„
სამგზავრო	მატ. №	49	ქუთაისიდან	5 ს. 20 წ.	„
„	მატ. №	51	ბორჯომიდან	19 ს. 08 წ.	„
„	მატ. №	53	„	6 ს. 26 წ.	„
საგარეუბნო	მატ. №	101	გორიდან	18 ს. 00 წ.	„
„	მატ. №	103	კასპიდან	17 ს. 32 წ.	„
სამგზავრო	მატ. №	56	ერევნიდან	5 ს. 13 წ.	„
„	მატ. №	58	„	10 ს. 35 წ.	„
საფოსტო	მატ. №	78	ჯულფიდან	16 ს. 00 წ.	„
სამგზავრო	მატ. №	64	წითელ-წყლიდან	18 ს. 45 წ.	„
„	მ.ტ. №	66	თელავიდან	16 ს. 25 წ.	„
საფოსტო	მატ. №	80	„	6 ს. 00 წ.	„
საგარეუბნო	მატ. №	112	ნავთლუღიდან	7 ს. 24 წ.	„
„	მატ. №	114	„	15 ს. 40 წ.	„
„	მატ. №	116	„	5 ს. 38 წ.	„
„	მატ. №	118	„	19 ს. 50 წ.	„

მატარებლების გასვლა და მოსვლა ნაჩვენებია მოსკოვის დროით, რომელიც ერთი საათით უკან არის ადგილობრივ დროზე.
შენიშვნა: ახალი მატარებლები საზაფხულო განრიგებით პირველად გავლენ ტფილისიდან ჩქარი № 29 ტფილის-მოსკოვი ა. წ. 19 მაისს და სამგზავრო № 61 ტფილის-ხარკოვი 8 მაისს.
137

„სოიუზუტილის"
საქართველოს კანტორა
რეგისტრირებულია კიროვის რაიფინგანში 1936 წლის 15 თებერვალს № 69-ით.
საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის საქ. კანტორაში № 50038.
მისამართი: ტფილისი, კონსტიტუციის ქუჩა № 6.
აქვს 17 დამამზადებელი კანტორა: ტფილისში, ფოთში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, მახარაძეში, ჭიათურაში, სამტრედიაში, გორში, ბორჯომში, თელავში, წნორში, ლაგოდეხში, ლენტეხში, დუშეთში და მანგლისში და [illegible].
საქმიანობის საგანი უტილნედლეულისა და წარმოების ნარჩენების დამზადება და გადამუშავება, აგრეთვე საწარმოო ნედლეულის მიწოდება.
მმართველი ვ. ი. მუხრანიძე.
33 მთავ. ბუღალტერი ქ. გ. ხოზაძე.

ადგილობრივი მრეწველობის უალკოჰოლო სასმელთა ქარხნის დირექცია აუწყებს მუშა-მოსამსახურეთ,
რომლებსაც არ მიუღიათ მე-2 ხუთწლედის მე-3 გამოშვების სესხის ობლიგაციები,
გამოცხადდნენ ქარხანაში ა-წ. 15 მაისამდე ობლიგაციების მისაღებად.
15 მაისის შემდეგ ობლიგაციები გადაეცემა სტალინის სახელობის რაიონის შემნახველ სალაროს.
294 დირექტორი ვაშაყმაძე.

ლენინის რაიონის ჯანგანყოფილების № 1-ის თანამშრომლები იზიარებენ ამავე დაწესებულების თანამშრომლის ელენე კვახაძის მწუხარებას მისი მამის
ვანო სიმონის-ძე კვახაძის
გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, საბჭოს, 151.
14375

დამწუხრებული და მარო, ძმები: ბაბუტა, ფლიდა, გიორგი, ლუდა, მელიტონ ცოლშვილით იუწყებიან ელენე (ბუცა) [illegible]-ასულ **წერეთლის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. გამოსვენება თოთხმეტს 5 ს. ლენინის, 3.
14374

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ვენერა, მიშა, ძმა რეზიკო [illegible] იუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს საყვარელ
პატარა **ჟულიეტას** (ჟულა)
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში 13 მაისს.
14379

ღრმად დამწუხრებული შვილი მარო, სიძე გიორგი, შვილიშვილები: ნელიკო, ვახტანგ ცქიფურიშვილები იუწყებიან საყვარელი მამის და ბაბუის
პეტრე ფირანის-ძე ცანავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. [illegible] 14 მაისს.
14378

გიორგი კორელიძე, ვანო და ვიქტორ სხირტლაძეები ცოლშვილით, სოლომონ სულაძე იუწყებიან ძვირფასი [illegible] ასულის
კირვალიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება ნიკოლაძის, 6, დღეს 5 საათზე კუკიის სასაფლაოზე.
14377

მშობლები: გრიშა, ოლია გურამით, ბებია ეფროსინე, ბიძა დათიკო მეუღლით სოსელიები, ბაბუა, ივანე ბიძა მიტუშა, [illegible]
ზინდა სოსელიას
დაკრძალვა თოთხმეტს, ენგელსის, 54 [illegible].

[illegible] სამმართველოს [illegible]
ზინდას
[illegible] გამოსვენება 14, 4 ს. [illegible]
14385

გიორგი, ოლია და ლიზა ანდრიაძეები იუწყებიან ძვირფასი [illegible]
ანდრიაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 7 ს. [illegible] 3. დაკრძალვა 13 მაისს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე.
14376

[illegible] საყვარელი ცოლის [illegible]
ლუბა ცქიტიშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო.
14368

ძმები გრიშა, მეუღლე თინა, შვილი ჯონდო, მშობლები [illegible] ანტონი თოლორდავები იუწყებიან, რომ ს. ფერსათში 16 მაისს 5 ს. დაიკრძალება
დავით (დათუშა) თოლორდავას
სამოქალაქო პანაშვიდი.
14371

მარილისის ფაბრიკის [illegible] და მუშათა კოლექტივი [illegible] ახალგაზრდა, ენერგიით სავსე მტკიცე ბოლშევიკისა და მეგობრის
სამო (მაშა) ალექსანდრეს-ასულ ხევსურიანის
მოულოდნელ გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 მაისს [illegible].
14350

შვილები: გიორგი ბეჟანიშვილი, ცოლი [illegible] და ანნა სხირტლაძე შვილიშვილებით იუწყებიან, რომ 12 მაისს 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დაიკრძალება
[illegible] სოლომონის ასულ **ბეჟანიშვილის**
სამოქ. პანაშვიდი.
14372

დამწუხრებული შვილები: ვალიკო, ბიჭო ნიჟარაძეები ცოლშვილით, ლიდა, მარო, გიგი, [illegible], ლამარა, ლილი, ლენა იუწყებიან საყვარელ დედის და ბებიის
[illegible] **ნიჟარაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 14 მაისს.
14370

ძმები: ვანო, მიქრო ოჯახებით, დები: ეკატერინე, ანეტა აუწყებენ მეგობარ-ნაცნობებს
მიხეილ დავითის-ძე უიასაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12 მაისს, დღის 2 საათზე, ჯუღაშვილის, 3. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
14373

სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის მეათე ჯგუფის სტუდენტები [illegible] გამოთქვამენ მათი ჯგუფის ენერგიული და საუკეთესო სტუდენტის
ანდრო [illegible]-ძე ქორიძის
უდროოდ გარდაცვალების გამო.
14380

სან.-ჰიგიენური ინსტიტუტის [illegible] და თანამშრომლები [illegible] თანაგრძნობას თანამშრომელ ვენერა ჯიბლაძეს მისი ძვირფასი ძმის
ნესტორ ჯიბლაძის
უდროოდ დაკარგვის გამო.
14355

„[illegible]" თანამშრომლები და საბავშვო ბაღის ჯგუფი № 2 ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ „[illegible]" ენერგიული მუშაკის
კონსტანტინე პავლეს-ძე არჩვაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება 12 მაისს, 5 ს. დავითაშვილის, 9.
14381

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქუჩა 68 ტირაჟი—120.000 მთავლიტის რწმუნებული 8407